ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის ორშაბათობით და ხუთშაბათობით

№10 (1520) 6–10 თებერვალი, 1997 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს „ტერორისტების" მომზადება 4 მილიონი დოლარი დაუჯდა?!



ქართველი ტერორისტები „ომეგადან" ამერიკული დიპლომებით

მეშვიდე გვერდი

ნუგზარ ფოფხაძე: ამჯერად საუბარი მექნება უფრო დიდ უზნეობაზე

მეორე-მეოთხე გვერდი

ზვიადი: ინაურმა მაბრძანებინა, რომ კგბ-ს „მზრუნველი" თვალი უყურადღებოდ არათუ გამესაზურდიას, არც მე მეტოვებდა

მესამე გვერდი

ნოდარ წულეისკირი: ვაი, იმ მწერლის ბრალი, ვისაც ქორქოლიანობა უნდა, ილია ჭავჭავაძეობა ყველა ქართველი მწერლის იდეალია

მეექვსე გვერდი

მკვლელობა საგურამოსთან ახლოს

მესამე გვერდი

ანა ბურგამაძე 25 ოქტომბრის ტრაქტის მცდელობის შესახებ

მეშვიდე გვერდი

ტიციან ტაბიძე ცხოვრება და მოღვაწეობა

მეხუთე გვერდი

ვინ იყო ვინ?

მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის

ნუგზარ ფოფხაძე:

ამჯერად საუბარი მექნება უფრო დიდ უზნეობაზე

გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ „საქართველო“ №70,71,72, 1996 წ. №1,2,3,4,5,6,7,8,9 1997 წ.

– ეროვნული მოძრაობის ზოგიერთი ლიდერი ბრალს დებდა ამა თუ იმ კოლეგას სუკ-ის აგენტობაში. ამის ერთ-ერთი საფუძველი გახლავთ იმ დროს ტელევიზიით ნაჩვენები ეროვნული მოძრაობის ლიდერთა დახურული შეკრების ჩვენება, სადაც იყო შუბლის გახვრეტით მუქარაც. როგორ აღმოჩნდა ეს „საიდუმლო“ ფირი ტელევიზიის ხელში?

– რა თქმა უნდა, ვიცი, თუ როგორ აღმოჩნდა ეს ფირი ტელევიზიაში, მაგრამ უპრიანი იქნება, ეს კითხვა ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მაშინდელ ხელმძღვანელებს დაუსვათ.

და თუ მე ამ კითხვას პასუხს მაინც გავცემ, თანაც მხოლოდ და მხოლოდ ნაწილობრივ, ამის ორი მიზეზი მაქვს.

ჯერ – ზნეობრივი მოტივი.

ისიც ვიცი, თუ პერსონალურად ვინ მიიტანა ფირი სადაც „ჯერ არს“. მაგრამ მისი დასახელების მორალური უფლება არა მაქვს. ეს ჩემი პირადი საიდუმლო არ არის. მე კაცურად გამენდნენ და სიტყვის გატეხის უფლება არა მაქვს.

თუ ამ „აქციის“ მონაწილენი ჩემი მონათხრობის შემდეგ საჭიროდ ჩათვლიან რაიმე ფორმით „გამომჟღავნებას“, ან თვითონ მე გამიხსნიან ხელს, ეს მათი მხრიდან მონანიებისდარ ნაბიჯად შეიძლება განვიხილოთ და დაადასტურებს ამ შეცდომის გამონაკლის ხასიათს და არა მავანის „სუკის აგენტობას“.

მაგრამ, ამჯერად, საუბარი მექნება უფრო დიდ უზნეობაზე, რომელიც ჩადენილია სხვის მიმართ – როცა, ნებსით თუ უნებლიეთ, გასვარეს კრისტალურად წმინდა ადამიანი.

...გაგახსენებთ იმ დროს. თუ არ ვცდები, ეს არის 1989 წლის თებერვალი...

ამ ფირით დადასტურდა ის, რაც მანამდე მეტ-ნაკლებად უკვე იცოდა საზოგადოებრიობამ – ეროვნულ მოძრაობაში ლიდერთა შორის განხეთქილება იყო. ერთ მხარეს იდგნენ ზურაბ ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრენი, მეორე მხარეს – ზვიად გამსახურდია და მისი მომხრენი. ვისაც ფირი სრულად აქვს ნანახი, ან ესწრებოდა ამ შეხვედრას, მისთვის ნათელია, რომ ხანგრძლივ შეხლა-შემოხლას, კამათის სიმწვავეს, მოურიდებელ ტერმინოლოგიას, ხმამაღალ ტონალობას არ შველოდა ნეიტრალური/ მოწმეების – ცნობილი მოღვაწეების მცდელობა დაეშოშმინებინათ დაპირისპირებული მხარეები, მათი მოწოდება სიმშვიდისკენ და შერიგებისკენ.

დაპირისპირებული მხარეები შეხვედრას იღებდნენ ვიდეოკამერებით, ორი წერტილიდან, ბუნებრივია, შეხვედრის დამთავრების შემდეგ თავთავიანთი წერტილებიდან გადაღებული ფირებიც დაისაკუთრეს. „ძალოვანი სტრუქტურების“ სურვილი, დაუფლებოდნენ ვიდეოჩანაწერს, ადვილად ასახსნელია. ფირი ჩაიგდეს კიდეც ხელში.

ფირის ნახვის შემდეგ მივიდნენ დასკვნამდე, რომ მისი „გაუონვა“ ხელს შეუწყობდა კონფლიქტის გაღრმავებას, ეროვნული მოძრაობის ლიდერთა დისკრედიტაციას.

„გაუონვა“ მოხდა. არ ვიცი, ვისი იყო იდეა, მაგრამ ფირის გამცემად საზოგადოებრივ აზრს ოსტატურად „მიჰყიდეს“ ზურაბ ჭავჭავაძე. პროვოკაციის საწყის ეტაპზე ეს შედარებით ადვილად მოხერხდა, რადგან „გაუონილი“ ფირი გადაღებული იყო ზურაბ ჭავჭავაძის თანამოაზრეთა „წერტილიდან“.*1 (რედაქტორისაგან: ჩემთვის სხვა წყაროებიდან ცნობილი გახდა იმ პირის გვარი და სახელი, ვინც აღნიშნული ფირი მიიტანა ტელევიზიაში. იგი ვალდებულია ზ.ჭავჭავაძის ხსოვნის წინაშე თავადვე მოხსნას, რა ფორმითაც უნდა, აღნიშნული ბრალდება ზურაბს. წინააღმდეგ შემთხვევაში ვიტოვებთ უფლებას...) ზურაბის გვარის „ტრიალს“ გვარიანად შეუწყვეს ხელი, ერთი მხრივ, ოფიციალურმა სტრუქტურებმა, მეორე მხრივ – მოწინააღმდეგე არაფორმალებმაც.

„აქედანაც“ და „იქიდანაც“ ვიღაცას სჭირდებოდა სწორედ ზურაბ ჭავჭავაძის რეპუტაციის შერყევა. მავანს და მავანს, ეტყობა, მეტისმეტად უშლიდა ხელს მისი მზარდი ავტორიტეტი, ეროვნული მოძრაობის სტრატეგიული თუ ტაქტიკური პრობლემებისადმი მისი საღი, რეალისტური მიდგომა.

მე ვიცნობდი მას, მქონდა საქმიანი კონტაქტები, კონსულტაციები. ძნელი მოწინააღმდეგე იყო, მაგრამ უაღრესად საინტერესო, შინაარსიანი. იშვიათად შემხვედრია ამ ასაკში ასეთი განათლებული, მოაზროვნე, ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პრობლემატიკაში ასე ღრმად ჩახედული, შორსმჭვრეტელი ახალგაზრდა კაცი. ამასთან, პრინციპულობის პარალელურად, კომპრომისის მაძიებელი, დიალოგის მომხრე, „ქართველების ერთად ყოფნის“ იდეის მიმდევარი. ზნეობრივად სუფთა და კეთილშობილი პიროვნება. სხვანაირი არც შეიძლება ყოფილიყო ჭეშმარიტი ინტელიგენტისა და მოღვაწის ბ-ნ ნიკო ჭავჭავაძის ვაჟი.

სამიზნედ სწორედ ასეთი კაცი ამოარჩიეს.

მაშინვე ვცადე ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში რაიმე მეღონა, რათა გამეგათილებინა ეს ცილისწამება. რამდენად მოვახერხე, სხვა საკითხია, მაგრამ ცდა არ დამიკლია. ეს იციან ზურაბის ახლობლებმაც.

მისი სხოვნის წინაშე ვალში ვართ ყველანი. მჯერა, რომ ამ უზნეობას მალე ბოლომდე აეხდება ფარდა.

ახლა, რაც შეეხება პროფესიულ მხარეს და თვით ამბავს.

...ერთ გვიან საღამოს, ჩემს სამუშაო ოთახში ვართ იდეოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელები. ვაანალიზებთ იმ დღის ამბებს –პოლიტექნიკური ინსტიტუტის წინ მოწყობილი არაფორმალთა აქციის დარბევისა და პროვოცირებული ურთიერთ შეხლა-შემოხლის შედეგებს. საღამოს ათი საათი ჯერ კიდევ არ იყო, როცა ჩემთან შემოვიდნენ რადიოტელევიზიის ხელმძღვანელი არმაზ სანებლიძე და შინაგან საქმეთა მინისტრ შოთა გორგოძე.

მითხრეს, ცკ-ს პირველი მდივნის კაბინეტიდან მოვდივართ და მისივე დავალებით საქმის კურსში თქვენც გაყენებთ – იმის თაობაზე, რომ დღეს ეს ვიდეოკასეტა ჩამოართვეს არაფორმალებს და იმდენად საჭირო და საინტერესოა, რომ დღესვე „ერემიას“ შემდეგ უნდა გადავცეთ ტელევიზიითო.

გავარკვიე, რომ ფირი დაუმონტაჟებელია. საათს შევხედე – ათს აკლია ათი წუთი. ეჭვი შემეპარა, ათ წუთში „ერემია“ იწყება, თერთმეტის ნახევარზე დამთავრდება და ყველაფერს როგორ მოასწრებთ, გორგოძე რომ ვერ ერკვევა ტელევიზიის ტექნოლოგიურ პროცესში, ეს გასაგებია, მაგრამ შენ რამ გაფიქრებინა ასე ნაჩქარევად ეთერში გასვლა-მეთქი. გარდა ამისა, თუ პირველმა მდივანმა ჩემთან გამოგაგზავნათ და პასუხისმგებლობას მეც მაკისრებს, მინდა ვიცოდე, რა ფირია, რას მოგვცემს მისი ჩვენება?

გორგოძემ შეიცხადა, ახლა ამ კასეტის თქვენთვის ჩვენების დრო არა გვაქვსო...

ერთი სიტყვით, ფირი ჩავრთეთ, ნახევარ წუთში ჩემთვის ნათელი გახდა, თუ რა ფირი „ჩაუგდიათ“ ხელში ჩემ სტუმრებს. სიმართლეს არ მეუბნებიან – ეს კასეტა დღევანდელი „ნადავლი“ ნამდვილად არ არის. მათ არ იციან, რომ ეს ფირი მათზე ადრე მაქვს ნანახი პატიაშვილთან, რომელმაც, არ ვიცი, რა მიზეზით, მაგრამ მათ ეს დაუმალა. დაბეჯითებით მოვთხოვე განზრახულის გადაფიქრება – არ შეიძლება მოუმზადებლად, ფაციფუცით ასეთი „ტელეგასროლა“-მეთქი...

„მაწვებიან“ პირველი და მეორე მდივნების ავტორიტეტით, მათი დავალების შესრულების აუცილებლობით. მათ თვალწინ პირდაპირი სატელეფონო კავშირის აპარატით ვუკავშირდები მეორე მდივანს, ვუხსნი ვითარებას და დაბეჯითებით ვთხოვ გადაწყვეტილების შეცვლას. არგუმენტი ერთია – ნაჩქარევია ეს ნაბიჯი და სიკეთეს არ მოიტანს. როგორც საჭიროდ ჩათვალო, ისე მოიქეცი, ოღონდ შეუთანხმე პირველ მდივანსო.

ასეც მოვიქეცი. გავედი ცალკე ოთახში, ტელეფონით ვესაუბრე პა-

გაგრძელება მე-4 გვ.

გაზეთ „საქართველოს“ მე-8 ნომერში ბ-ნი ნუგზარ ფოფხაძე წერდა: „გაიკითხეთ ჯიზლარის ამბავიც. მისამართსაც მოგცემთ – გრიგოლ ონიანი. სტალინური პარტიის ლიდერი. ბევრმა არ იცის, რომ სწორედ მაშინ, ის ჯიზლარის სამმართველოს უფროსი იყო. ჰკითხეთ, ვისგან მიიღო დავალება, რა პირობები უნდა შეექმნა და როგორ უნდა მოეკლო ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, დიდი კონსტანტინეს შვილისათვის“.

ამ ციტატს მოვაყოლეთ რედაქციის მინაწერი: „ბატონ გრიგოლ ონიანს ვთხოვთ ეს ციტატი რედაქციის ოფიციალურ შეკითხვადაც მიიღოს და გამოგვეხმაუროს“.

ბ-ნი გრიგოლი მართლაც ოპერატიულად გამოგვეხმაურა (რისთვისაც მადლობას ვწირავთ) და რედაქციაში მოიტანა ქვემოთწარმოდგენილი წერილი.

გრიგოლ ონიანი:

ინაურმა მაგრძნობინა, რომ კგბ-ს „მზრუნველი“ თვალი უყურადღებოდ არათუ გამსახურდიას, არც მე მტოვებდა

ცოტა რამ ჯიზლარის შესახებ.

ჯიზლარი ნოღაეთის ტრამალებზეა გაშლილი და ნახევრად უდაბნოს წარმოადგენს. ზღვის დონიდან – 5-17 მეტრით არის დაბალი. ხასიათდება რბილი კლიმატით. ამან განაპირობა ჯიზლარში ცხვრის გამოზამთრება. ასეულ ათასობით ჰექტარზე ვერ შეხვდებით ვერც შემაღლებულ ადგილს და ვერც ტოტებგაშლილ მცენარეს. მთელი ტერიტორია ზღვის ზედაპირს მოგაგონებს კაცს.

სწორედ ამ უკიდეგანო სივრცეებში საქართველოს XX-საუკუნის 20-იანი წლებიდან 700 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი ეკავა და 3 მილიონზე მეტი ცხვარი იზამთრებდა. საქართველოს მეცხვარეობის წამყვანი რაიონები მთლიანად ჯიზლარის ზამთრის საძოვრების იმედით და პერსპექტივით ცხოვრობდნენ.

1953-54 წლის საშინელმა ზამთარმა კატასტროფის წინაშე დააყენა როგორც ნოღაეთი, ასევე ქართული ცხვარ-მეცხვარეობა. ცხვრის მთელი სულადობა ყინვებისაგან და საკვების უქონლობისაგან ასი პროცენტით დაიხოცა. ამით ისარგებლა ქართველი ხალხის მოძულე ხრუშჩოვმა და 350 ათასი ჰექტარი პირველხარისხოვანი საძოვარი საქართველოს ჩამოართვა, ხოლო დარჩენილი 350 ჰექტარი რუსეთის ფედერაციის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით 20 წლის ვადით დაუტოვეს საქართველოს.

70-იან წლებიდან ჯიზლარის ზამთრის საძოვრებს არავითარი ყურადღება არ ექცეოდა, რადგან 1974 წელს მისი მფლობელობის ვადა საქართველოს უკვე უმთავრდებოდა.

1972 წლის საკადრო ცვლილებებმა რესპუბლიკაში სრულიად ახალი მნიშვნელობა შესძინა ჯიზლარის ზამთრის საძოვრებს. 1974 წელს საქართველოს კპ. ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ბატონ ედუარდ შევარდნაძის უდიდესი ძალისხმევით, რუსეთის ფედერაციის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ სოლომონ ცეცვამ საქართველოსათვის ჯიზლარის დატოვების დადგენილებას მოაწერა ხელი, რითაც საბოლოოდ გადაწყდა ქართული ცხვარ-მეცხვარეობის ბედი საერთოდ და კერძოდ კი ჯიზლარის ზამთრის საძოვრებზე.

იმავე 1974 წელს შეიქმნა ჯიზლარის ზამთრის საძოვრების მართვის გაერთიანება, რომლის პირველი თავმჯდომარეობაც მე მხვდა წილად.

ჯიზლარი გახდა საქართველოს პრაქტიკულად განუყოფელი ნაწილი. კასპიის ზღვამდე ჩასასვლელი გზა-გადასარეკი ზონა ჩვენი საკუთრება იყო. მთელი ის უზარმაზარი ტერიტორია, რომლის სიგრძე 250 კილომეტრი, ხოლო სიგანე 140 კილომეტრი იყო, აბსოლუტურად საქართველოს იურისდიქციის ქვეშ იმყოფებოდა.

3000-ზე მეტი მომსახურე პერსონალი და მილიონ ნახევარი ცხვარი სრულ თავისუფლებას გრძნობდა შორეულ კასპიისპირეთში, რომელსაც არ აკლდა რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ყოველდღიური ზრუნვა და ყურადღება.

იდგა 1978 წლის ზაფხული, ჩემს საცხოვრებელ სახლში თანამშრომელი შემოვიდა. სტუმრებიაო, მაცნობა. გარეთ გამოვედი. ეზოში უკვე ხუთი კაცი შემოსულიყო. ყველა უცნობი. ყველას ხელის ჩამორთმევით ვესალმებოდი და ვეცნობოდი. ერთ-ერთს როცა მივუახლოვდი, ხელი ზანტად გამომიწოდა და თვალებში შემომხედა. თვალწინ ნაცნობმა სახემ სწრაფად გამიელვა და ვიცანი, რომ ზვიად გამსახურდია იყო. მე ხელი გავუწოდე, მან უხალისოდ შესასრულა ეს მოვალეობა.

სახლში შეეიპატიჟე. მისაღებ ოთახში მაგიდას შემოვუსხედით თუ არა, ერთ-ერთმა სტუმართაგანმა განმიცხადა, რომ ისინი კგბ-ს თანამშრომლები იყვნენ თბილისიდან. ჩამოიყვანეს დისიდენტი ზვიად გამსახურდია, რათა მან სასჯელი ჯიზლარის სტეპებში მოიხადოს.

ცოტა ხნის შემდეგ გრძელგზაგამოვლილ სტუმრებს სადილი შევთავაზე.

ის ღამე ყველამ ერთად ჩემს საცხოვრებელ სახლში გავათენეთ. მეორე დილით საუზმისათვის ვემზადებოდით, რომ კვლავ გარეთ მიხმეს სტუმრების შესახვედრად.

სამი უცნობი მამაკაცი ერთმანეთის მიყოლებით მიჩვენებდნენ კგბ-ს მოწმობებს დაღესტნის რესპუბლიკიდან. სახლში შევუძახი. იქაური და აქაური „დაუპატიჟებელი“ სტუმრები ერთმანეთს ეპატიჟებოდნენ საუზმის მაგიდაზე.

საუზმის შემდეგ სუფეელა ერთად საძინებელ ოთახში შევიდნენ. მისაღებში კი მარტო მე და ზვიადი დავრჩით. ნახევარი საათის შემდეგ შინაური და გარეული კგბ-ს ბიუები მისაღებ ოთახში გამოვიდნენ და მაგიდაზე თამბახის ფურცლები დააწყეს. ეს დისიდენტ ზვიად გამსახურდიას მიღება-ჩაბარების აქტი გახლდათ, რომლითაც საქართველოს კგბ დაღესტნის კგბ-ს აბარებდა თავის „კლიენტს“.

მიღება-ჩაბარება დამთავრდა, ჩვენც ერთმანეთს დავემშვიდობეთ და ყველა თავ-თავის გზაზე წავიდა.

ისე დაემთხვა, რომ მეორე დღეს ცკ. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად თბილისში წამოვედი. ერთ-ერთ თანამშრომელს კი დავუბარე, სანამდე ზვიად გამსახურდიას ბინის საკითხს გადავწყვეტდე, შენთან გადაიყვანე ბინაზე.

თბილისში – სახლში შესულიც არ ვიყავი, რომ ამბავი დამახვედრეს: – ცეკადან დარეკეს, ხვალ, 10 საათზე, ბატონი ედუარდი გიბარებსო.

პლენუმის მოხსენებისათვის ცკ. პირველ მდივანს ციფრობრივი მასალა მივაწოდე. გამოიკითხა მდგომარეობა და ბოლოს მკითხა: – ზვიად გამსახურდია თუ ჩამოიყვანეს ჯიზლარშო.

– ჩამოიყვანეს, ედუარდ ამბროსის ძევ. – მოკლედ ვუპასუხე მე.

– სად მოაწყეე, როგორ დაამინავე, – დაინტერესდა ბატონი ედუარდი.

– სამსახურზე არ მიფიქრია, ცხოვრებით კი იცხოვრებს სადმე, გვაქვს ადგილები.

რომელიღაც ჩემი გამოთქმა არ მოეწონა. მძიმე პაუზა გააკეთა და ხაზგასმულად შემდეგი სიტყვები მითხრა: – ვინც უნდა იყოს, რაც უნდა იყოს, ზვიადი დიდი კონსტანტინეს შვილია, ამიტომ ყველაფერი უნდა გააკეთო, რომ მას ცხოვრების ნორმალური პირობები შეუქმნა. სამსახური კი ისეთი შევარჩიოთ... ერთმანეთს შევხედეთ და ორივეს გაგვეღიმა.

მისი თვალებისა და სახის გამომეტყველება ბევრად მეტს მაგალებდა, ვიდრე მისი წარმოთქმული სიტყვები.

სამი დღის შემდეგ დაბა კაჩუბეიში ჯიზლარის ზამთრის საძოვრების გაერთიანებულ სხდომაზე ბატონ ზვიად გამსახურდიას შრომითი მოწყობისა და საყოფაცხოვრებო პირობების საკითხს ვიხილავდი, სადაც ზვიად გამსახურდია დაინიშნა – კულტურის განყოფილებასთან არსებულ გაერთიანებული ბიბლიოთეკის გამგედ, ხელფასის მაქსიმუმი დანამატებით.

– ზვიად გამსახურდიას საცხოვრებლად გამოეყო გაერთიანების თავმჯდომარის საცხოვრებელ სახლში ორი ოთახი.

ორივე გადაწყვეტილება ოქმში იქნა შეტანილი, მაგრამ იყო საკითხები, რომლებიც ერთპიროვნულად გადავწყვიტე და მივეცი შესაბამისი დავალებებიც.

1. კოჩუბეის ფოსტას ყოველგვარი შეფერხების გარეშე, პირველი კატეგორიით უნდა გაეწია მომსახურეობა ბატონ ზვიად გამსახურდიასათვის, საცხოვრებელი ბინიდან კაჩუბეი – თბილისის ხაზზე.

2. ცეკავშირის თავმჯდომარეს – ვაჟა ჩოფიკაშვილს დავავალე უზრუნველეყო ზვიად გამსახურდია საჭირო სამრეწველო და სასურსათო საქონლით, სათანადო ღირებულების გადახდით.

3. საავადმყოფოს მთავარ ექიმს – შმარსაგიშვილს მიეცა კატეგორიული დავალება ყოველთვიურად ჩაეტარებინა ზგამსახურდიასათვის სათანადო გამოკვლევა შესაძლებლობის ფარგლებში.

„გაიცა ყველა სახის დავალება, რაც საჭირო იყო ადამიანის შედარებით ნორმალური ცხოვრებისათვის ამ რთულ პირობებში.

ყველაფერი კარგად მიდიოდა, სამი კვირის შემდეგ კვლავ სასწრაფოდ გამომიძახეს თბილისში, სხვადასხვა საქმეების მოსაგვარებლად. ნახევარი საათიც არ ვიყავი სახლში შესული, რომ ტელეფონთან დამიძახეს. ყურმილი ავიღე თუ არა, გამომიცხადეს, რომ კგბ-ს თანამშრომელი მესაუბრებოდა, რომელიც ამას წინათ ჩემთან ჯიზლარში იმყოფებოდა. მთხოვა, რომ ჩემთან შეხვედრა სურს გენერალს.

გულმა რეჩხი მიყო, მაგრამ სხვა რა ძალაა, სამ საათზე კგბ-ს შესასვლელში ჩემს კაჩუბეელ ნაცნობს შევხვედი და შენობაში შემიყვანეს.

რამოდენიმე პროცედურის შემდეგ, ინაურის კაბინეტში აღმოვჩნდი. ბატონი ალექსი წამოდგა ფეხზე და მომესალმა. გამომკითხა ჯიზლარის ცხვარ-მეცხვარის ამბები და გაიხსენა თავისი მოგზაურობა სტეპებში.

– როგორ არის ქვეყნის ამშენებელი ამხანაგო ონიანო! – მკაცრი რუსული ტონით მომმართა მე.

– ვინ ბატონო ალექსი, დამტვრეული რუსულის გამო ქართულად დავუბრუნე კითხვა.

ოდნავ გაიღიმა და კბილებიდან გამოსცრა – ზვიად გამსახურდია.

– არის, როგორც შეეფერება პატიმარს. ვუპასუხე მე.

– როგორ პატიმარს, – არ მეშვება გენერალი.

– როგორც პოლიტპატიმარს, კვლავ მივუგე.

ჩემმა პირდაპირმა გამოხედვამ და პასუხებმა, როგორც ჩანს, გააღიზიანა გენერალი და ახლა უფრო აგრესიულად და ხმის აწევით მეუბნება:

– ამხანაგო ონიანო, ის არ არის ეროვნული გმირი, ის პატიმარია და უნდა იყოს და იცხოვროს ისე, როგორც პატიმარს ეკადრება.

– ის განსაკუთრებული პრივილეგიებით არაფერით სარგებლობს, ამხანაგო გენერალო, ეუმტკიცებ მე.

– კარგი, ამხანაგო ონიანო! საქალალდეს გადასწვდა, გადაშალა და კითხვა დაიწყო. – 12 დღის განმავლობაში გამსახურდიამ ქთბილისში პირდაპირი ტელეფონით მინიდან პირველი კატეგორიის მომსახურეობით თბილისში დარეკა 17-ჯერ. 12-ჯერ კოლხურ კოშკში, 5-ჯერ სხვადასხვა ნომრებზე, შავი ვოლგით სახ. № გრშ. 90-006 იმოგზაურა ერთხელ ქგროზნოში, ორჯერ ქჯიზლარში. ცხოვრობს ჯიზლარისათვის პრესტიჟულ ბინაში, გაერთიანების თავმჯდომარესთან ერთად.

სახე ასწია და შემომხედა, ეტყობა ფერი მეცვლებოდა და ვეღელვდი. შენ კი ცრუობ, ამხანაგო ონიანო. პასუხად ვერაფერს ვეუბნებოდი. მარტო უაზროდ, მგონი კონსტანტინე, კონსტანტინეს ვიძახდი. ჩემს აღელვებაზე თითქოს ის დაწყნარდა და ჭკუის დარიგება დამიწყო.

მაგრამ ნობინა, რომ კგბ-ს „მზრუნველი“ თვალი უყურადღებოდ არა თუ გამსახურდიას, არც მე მტოვებდა.

შიშისაგან ძლივს მოვდიოდი კიბეებზე. მაკილებდა ისევ ის ჩემი ნაცნობ-ჩამშვები (ხლა როცა ერთმანეთს ვხვდებით, დიდი სიცილით ვიხსენებთ იმ შეხვედრებს).

მეორე დღეს ბატონ ედუარდს ვთხოვე მიღება. მიმიღო. სხვა საკითხებთან ერთად ჩემი მფარველობის ამბავიც მოვუყვი ზვიადის მიმართ. ისიც ვუთხარი, თუ რა დღეში ჩამაგდო გენერალმა.

– ეს ყველაფერი მისი სამსახური და მოვალეობაა. ილაპარაკოს. შენ კი ის გააკეთე, რაც მე დაგავალე.

ასე რომ, ჯიზლარში ბატონ ზვიადის (აცხონოს მისი სული ღმერთმა) არაფერი გასვირვებია, შესაძლებლობის ფარგლებში.

ზვიად გამსახურდიამ ჯიზლარზე მშვენიერი ლიტერატურული ნარკვევებიც გამოაქვეყნა, სადაც მისადმი პატივისცემა ნათლად არის წარმოჩენილი.

2.02.97 წ.

ერეკლეს ბიბლიოთეკა

დღევანდელი ინფორმაციით, ბალის რაიონში შედარებით სიმშვიდეა

სააგენტოს კორესპონდენტს ზუგდიდის რაიონიდან აცნობეს, რომ ბოლო დღეებთან შედარებით, 5 თებერვალს გალის რაიონში სიმშვიდეა. რაიმე ექსცესებს ადგილი არ ჰქონია. აფხაზური მილიცია კვლავ გალშია დაბანაკებული. ბოევიკთა დამატებითი ჯგუფები კი გაყვანილია გალის არხის გასწვრივ. მიუხედავად ამისა, მოსახლეობა დაშინებულია და აქტიურად მოძრაობს ენგურის ორივე მხარეს. (იბერია)

«ინტერნეიშნლ ალერტმა» მოლაპარაკება განაახლა აფხაზ სეპარატისტთა ლიდერებთან

ლონდონში მოქმედმა საერთაშორისო ორგანიზაციამ „ინტერნეიშნლ ალერტმა“ მოლაპარაკება განაახლა აფხაზ სეპარატისტთა ლიდერებთან ერთობლივი ქართულ-აფხაზური კომისიის შექმნის თაობაზე, რათა კომისიის შემადგენლობაში მოგვარდეს ეს კონფლიქტი, მაგრამ აფხაზ სეპარატისტთა ლიდერები უარზე არიან ამგვარი კომისიის ჩამოყალიბებაზე და აცხადებენ, რომ არ მიიღებენ მონაწილეობას იმ კომისიაში, რომელიც მხოლოდ აფხაზური და ქართული მხარეებით იქნება დაკომპლექტებული. მათ სურთ მხოლოდ იმ კომისიაში მუშაობა, რომელშიც იქნებიან წარმომადგენლები საქართველოდან, აფხაზეთიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. (იბერია)

ადა მარშანიამ ფრაქცია დატოვა

სააგენტოს კორესპონდენტს საქართველოს პარლამენტის აპარატიდან აცნობეს, რომ ცნობილმა აფხაზმა საზოგადო მოღვაწემ, ადა მარშანიამ დატოვა საქართველოს საპარლამენტო ფრაქცია „აფხაზეთი“. მან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს სპეციალური წერილით მიმართა, რომელშიც არ არის განმარტებული ფრაქციის დატოვების მიზეზები. დამკვირვებელთა აზრით, ადა მარშანიამ ფრაქცია დატოვა იმ საბაბით, რომ არ ეთანხმებოდა ფრაქციის წევრთა უმრავლესობის პოზიციას აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით. (იბერია)

მკვლელობა საგურამოსთან ახლოს

უზენაეს სასამართლოში მოსამართლე ირაკლი ბიბილაშვილის თავმჯდომარეობით 1972 წელს დაბ. ზაზა ჩუთლაშვილისა და ასევე 1972 წელს დაბ. ჯუმბერ ჯიქურაულის სასამართლო პროცესი მიმდინარეობს. განსასჯელის სკამზე ყოფილი პოლიციელები ისხდნენ. მათ ბრალად ედებათ ფულის გამოძალვის მიზნით ორი ადამიანის განზრახ მკვლელობა; ხელისუფლებისა და თანამდებობის პირის წოდების თვითნებური მითვისება (რადგან პოლიციის რიგითი თანამშრომლები ოფიცრის სამოსს ატარებდნენ). ბენზინის მეპატრონეებისგან ბენზინის გამოძალვა და დანაშაულებრივ ქმედებაში არასრულწლოვანი პირის, ვანიშვილის, ჩაბმა.

ყველაფერი კი ასე დაიწყო: ზაზა ჩუთლაშვილმა თავის ნაცნობ როინ ვანიშვილისგან გაიგო, რომ საგურამოში მცხოვრები ელდარ ჯავახიშვილი სამწყემსო ბინაში არარეგისტრირებულ თოფს ინახავდა, ხოლო მის მეგობარ თეა ლეთოდიანს ჯავახიშვილისთვის 2000$ უნდა მიეცა. ზაზა ჩუთლაშვილი თანამშრომელ ჯუმბერ ჯიქურაულთან და გამოძიებისთვის დღემდე დაუდგენელ პირთან, ვინმე „მაკასთან“ ერთად საგურამოში ელდარ ჯავახიშვილს ესტუმრა, როცა თეა ლეთოდიანი და როინ ვანიშვილიც მასთან იმყოფებოდნენ. ჩუთლაშვილმა მასპინძლისგან უსაბუთო თოფის გამოტანა მოითხოვა. ჯავახიშვილი დამორჩილდა. რაკი წინააღმდეგობას ვერ შეხვდნენ, ჩუთლაშვილმა მდგომარეობა გაამწვავა და სამმართველოში წაყოლა მოსთხოვა. მოლაპარაკების შემდეგ სტუმრები 200C $ აღებას „დათანხმდნენ“.

გამომძალველებმა 2000$ და თოფი გაიტაცეს, მალე გზიდან უკან დაბრუნდნენ, რათა თოფი პატრონისთვის გადაეცათ, ვინაიდან ჯავახიშვილი ემუქრებოდათ, რომ ამ საქმეს ასე არ დატოვებდა. წართმეული იარაღი ჯავახიშვილის სახლში ჩუთლაშვილმა შეიტანა. ორი გასროლით მოკლა ჯერ მასპინძელი, შემდეგ თეა ლეთოდიანი, თვითმკვლელობის, ინსცენირება მოაწყო და ავტომანქანაში დაბრუნდა. თანამზრახველებს მომხდარის შესახებ მოუთხრო და სიმართლის დაფარვა მოსთხოვა.

განსასჯელები თავს დამნაშავედ არ ცნობენ და ბრალდებას კატეგორიულად უარყოფენ.

სასამართლო პროცესი გრძელდება.

ია ბუკოვსკაია

ნუგზარ ფოფხაძე:
ამჯერად საუბარი მექნება უფრო დიდ უზნეობაზე

მეორე გვერდიდან



ტიაშვილს და, მართალია, დიდი ენთუზიაზმით არა, მაგრამ მაინც დამთანხმდა. ამის შემდეგ გორგოძემ ვიდეოფირისადმი ყოველგვარი ინტერესი დაკარგა, სანებლიძესთან კი შევთანხმდი, დაემონტაჟებინა ფირი პირველი მდივნის ინსტრუქციების შესაბამისად, და ერთად ნახვის შემდეგ მივიღოთ–მეთქი გადაწყვეტილება. დავთქვით დავალების შესრულების დრო და ერთმანეთს დავშორდით.

რამდენიმე დღის განმავლობაში სისტემატურად ეკითხულობ, როგორ მიდის მონტაჟის საქმე, როდის მანახვებენ მასალას. ჭიანურდება დავალების შესრულება. ეს დალოცვილები, პირველ დღეს რომ 30–40 წუთში აპირებდნენ ეთერში გასვლას, ახლა ლიმილისმომგვრელი არგუმენტებით მამშვიდებენ, ვერ მოვასწარითო მონტაჟი. ... ბოლოს, როგორც იქნა ვეღირსე, დამითქვეს ფირის ნახვის დრო – შაბათი თუ კვირა, კარგად არ მახსოვს. საღამოს 10 საათის შემდეგ უნდა ვეწვიო ტელევიზიას და ადგილზე მანახვებენ ამ ნაწვალებ–ნალოლიავებ გადაცემას.

... სწორედ ამ დღეს, საღამო ხანს ცკ–ს ბიუროს წევრები საბჭოთალოზე ცნობილი ჟურნალისტის, ჩემი მეგობრის, მოულოდნელად გარდაცვლილი რეზო დვალიშვილის პანაშვიდზე წავედით. პატიაშვილმა თავის „ჩაიკაში“ მიგვიპატიჟა და 4–5 კაცი ერთად მივდივართ. ოპერის თეატრს რომ გავუსწორდით, პატიაშვილი მომიტრიალდა და მეკითხება, რა ჰქენი, როდის უშვებთ იმ ფირსო. ვუპასუხე, ამ საღამოს სანებლიძესთან ერთად ვნახავ და გნებავთ გვიან შეგეხმიანებით, გნებავთ დილით მოგახსენებთ. კეთილი და საუბარი ამ თემაზე აღარ გაუგრძელებია.

პანაშვიდის შემდეგ გამომშვიდობებისას კიდევ ერთხელ შევახსენე, გვიან საღამოს შეიძლება შეგეხმიანოთ, ერთ–ორ საათში ტელევიზიაში მივალ, ფირს ვნახავ და ჩემს აზრს მოგახსენებთ–მეთქი. ისევ დამთანხმდა.

ებრუნდები შინ, კარს მიღებენ და... „მომახარეს“ – ეს რა საშინელება გვანახესო ტელევიზიით. გაკვირვებით ვეკითხები, ისეთი რა აჩვენეს, ასე რომ გადაგრიათ–მეთქი, და პასუხი... გია ჭანტურია ზურაბ ჭავჭავაძეს შუბლის გახვრეტას დაჰპირდაო.

შენდობას ვთხოვ წასულთა ხსოვნას, სწორედ ეს ფრაზა იყო ტელემაყურებლისთვის ყველაზე მეტად შემაძრწუნებელი და, ამიტომაც – დასამახსოვრებელი.

...გავშრი. ვურეკავ სანებლიძეს, სამსახურში არ არის, მოადგილეებიც ტელეფონს არ იღებენ. ყველაფერი ნათელია. მაინც მივედი ტელევიზიაში, გზის სწავლას არ ვესაჭიროებდი, და ამ გადაცემას ვინ არ მანახვებდა. როცა საგანგებოდ მომზადებული ეს „იდეოლოგიური ზალპი“ ვნახე, შემრცხვა.

მომდევნო ორშაბათს ცკ–ს ხელმძღვანელობა, განყოფილების გამგეები, პარტიული გაზეთებისა და ტელერადიოს თავკაცები, შევიკრიბეთ დილის სავალდებულო ოპერატიულ თათბირზე.

შემოდის პირველი მდივანი. იშვიათად მინახავს ასეთი გაღიმებული და გახარებული, მით უმეტეს – ასეთ შეკრებებზე. დაარღვია ტრადიცია – არც მრეწველობა აინტერესებს და არც სოფლის მეურნეობა – პირდაპირ ტელევიზიის გამარჯვება მოგვილოცა, მსგავსი იდეოლოგიური აქცია არ ჩატარებულაო, თანაც, მინიშნება, რომ ეს წარმატება მოპოვებულია იდეოლოგიური განყოფილების გარეშე, ცკ–ს მდივნის დავალების შესრულების გაჭიანურების მიუხედავად. ქვეყანას დავანახვეთ, ვინ არიან ეს არაფორმალები, რა ზნეობისა და კულტურის ხალხიაო. ერთი სიტყვით, მეშვიდე ცაზეა.

ყველამ მხარი აუბა, გადაცემის განმეორებით ჩვენებას ითხოვენ. ყველა აღტაცებულია. თანდათანობით ამ კონკრეტული ფაქტიდან ზოგადად დაიწყეს პრესის საქმიანობის განხილვა და... დაიწყო იდეოლოგიური განყოფილებისა და ცკ–ს მდივნის კრიტიკა, რომ ჩვენი შემწყნარებლობით, თურმე, ნამეტანი თავი აიშვეს გაზეთებმა, რაც უნდათ, იმას ბეჭდავენ, ჩვენ კი ასეთ გამოხდომებზე პრინციპულ რეაგირებას არ ვახდენთ და ა.შ.

...მოვიდა ჩემი ჯერიც. ეტყობა, ამ ბოლო დროს რაღაცეები აღარ მესმის, ჩამოვრჩი–მეთქი. თუკი ყველას ასე მოგეწონათ ეს გადაცემა, რა მაქვს საწინააღმდეგო, მაგრამ, თუ გვინდა შევინარჩუნოთ ის დადებითი შთაბეჭდილება, რომელიც, როგორც თქვენ გჯერათ, ამ გადაცემამ ნამდვილად დატოვა, ნულარ გავიმეორებთ, რადგან ის, რაც დილეტანტისათვის შეუმჩნეველია, პროფესიონალისთვის აშკარაა–მეთქი. არგუმენტად უსუსური მონტაჟიც მოვიტანე, რომელიც ფსიქოლოგიურად ძნელად შესამჩნევია „შოკური ეფექტის“ დროს, თვალში საცემია განმეორებითი ნახვისას და უფრო ძლიერ უკუეფექტს გამოიწვევს–მეთქი და, ბოლოს ისევ ისეთი ხვეწნით დავამთავრე, თითქოს ვინმეს საკუთარი სიცოცხლის შენარჩუნებას ვემუდარებოდი.

...თათბირის შემდეგ სანებლიძეს საგანგებოდ ვესაუბრე, ორივემ დელიკატურად თავი ავარიდეთ იმ უხერხულ თემას, რომელსაც კაცების ენაზე თავისი სახელი ჰქვია, ვიცოდი, მარტო მისი მოფიქრებული არ იქნებოდა ეს „ორიგინალური სვლა“ (ამ რამდენიმე დღის წინათ საგანგებოდ დავუკავშირდი, ჩავაყენე საქმის კურსში იმის თაობაზე, რომ ამ ამბავთან დაკავშირებით გაზეთის საჯაროდ დასმულ კითხვაზე მომიწევდა პასუხის გაცემა და იძულებული ვარ ეს ამბავი გავიხსენო–მეთქი. გამომიტყდა, არ შემეძლო ცკ–ს პირველი მდივნის დავალების შეუსრულებლობაო. ასეთ დროს ძნელია გამტყუნება, მით უმეტეს ჩემთვის, რომელსაც საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი მსგავსი ამბავი).

...პატიაშვილმა იმ თათბირის შეჯამებისას სანებლიძეს გაკვრით შენიშნა, რომ შეიძლება ფოფხაძე მართალი იყოს და დავფიქრდეთ, ღირს თუ არა ამ გადაცემის გამეორებაო. სანებლიძეც გულწრფელად დამეთანხმა, მონტაჟი მართლაც ნაჩქარევი გამოგვივიდა და, ალბათ, აღარ გავიმეორებთო ამ გადაცემას.

... მეორე საღამოს გადაცემა მაინც განმეორდა (!).

სტილი ნაცნობია!

სამწუხაროდ, ეფექტი ისეთივე იყო, ზვიად გამსახურდიასთან დაკავშირებულ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ „სარეველას“ რომ მოჰყვა...

ესაუბრა გუგა მებრელიძე

გაგრძელება იქნება

ეროვნული

საერთაშორისო საავალუტო ფონდის მმართველი დირექტორის წერილი

„საქართველოს ეკონომიკის აღორძინების გაგრძელება დიდად არის დამოკიდებული თქვენი მთავრობის შესაძლებლობაზე – მნიშვნელოვანწილად გაზარდოს საგადასახადო შემოსავლები მომდევნო რამოდენიმე წლის განმავლობაში“, – ნათქვამია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველი დირექტორის მიშელ კამდესიუს ე.შევარდნაძისადმი მიწერილ წერილში. წერილის ავტორი აუცილებლად მიიჩნევს სტრუქტურული რეფორმების დაჩქარებას საქართველოს ეკონომიკური აღმავლობის კურსის გასაგრძელებლად და საქართველოს პრეზიდენტს მხარდაჭერას აღუთქვამს ეკონომიკური რეფორმების წარმატებით განხორციელების საქმეში. (იფრინდა)

«დოიჩე მორგან გრენფელი»-ს დელეგაცია საქართველოში

ბუშინ ინგლისიდან საქართველოში ჩამოვიდა „დოიჩე ბანკის“ ჯგუფის საინვესტიციო ბანკის „დოიჩე მორგან გრენფელი“–ს 4 კაციანი დელეგაცია, რომლის მიზანია საქართველოში სხვადასხვა სფეროებში ინვესტიციების ჩადება. ვიზიტის დროს, დელეგაციის წევრები შეხვდებიან მთავრობის წარმომადგენლებს. ვიზიტი 8 თებერვლამდე გასტანს. (იფრინდა)

გახსნილია 1800-ზე მეტი სისხლის სამართლის დანაშაული

სააბინეტოს კორესპონდენტს შსსდან აცნობეს, რომ ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში გახსნილია 1800–ზე მეტი სისხლის სამართლის დანაშაული, რომლებიც 1992–95 წლებში სხვადასხვა შეიარაღებული ფორმირებების მიერ იყო ჩადენილი. (იბერია)

ელ.ენერგიის

უწყვეტლობამ შესაძლოა დესტაბილიზაცია გამოიწვიოს

საქართველოს პრეზიდენტის ადგილობრივი მმართველობისა და რეგიონალური პოლიტიკის საკოორდინაციო სამსახურის ცნობით, მიუხედავად გასული წლის ნოემბერ–დეკემბერში მოსახლეობის მიერ ელ.ენერგიის საფასურის დადებითი მაჩვენებლებით გადახდისა, წალკის რაიონის 43 დასახლებული პუნქტიდან ორი კვირის განმავლობაში ძაბვა არ მიეწოდებოდა 23 ერთეულს ძირითადად სომეხი ეროვნების მოქალაქეებით დასახლებულ პუნქტებს.

„თრიალეთის“ მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის გათიშვის გამო, წალკის რაიონის ოც დასახლებულ პუნქტს, რომელშიც მთლიანად ბერძენი და აზერბაიჯანელი მოქალაქეები ცხოვრობენ, ძაბვა „თონეთი–1“ ხაზით მიეწოდება. ამის გამო იზრდება სომხური მოსახლეობის უკმაყოფილება. თუ სასწრაფოდ არ ჩაირთო „თრიალეთის“ ხაზი, მოსალოდნელია ეთნარების დესტაბილიზაცია. (იფრინდა)

სტიქია გრძელდება

საქართველოს პრეზიდენტის ადგილობრივი მმართველობისა და რეგიონალური პოლიტიკის საკოორდინაციო სამსახურის ცნობით, აჭარაში რამოდენიმე დღის განუწყვეტელი თოვის შედეგად თოვლის საფარის სიმაღლემ ბათუმში 0,4 მეტრს, ქობულეთში 0,2, ხელვაჩაურში 1 მეტრს, შუახევსა და ქედაში 1,5, ხულოში 2,5 მეტრს მიაღწია. მაღალმთიან სოფლებში თოვლის საფარის სიმაღლე 3–4 მეტრს აღწევს. ჩაკეტილია გოდერძის უღელტეხილი. შუახევის, ქედის და ხულოს მიმართულებით გზები ჩაკეტილია. სოფლებთან სატრანსპორტო მიმოსვლა შეწყვეტილია, არის მხოლოდ სატელეფონო კავშირი. შექმნილია სამთავრობო შტაბი აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ა.აბაშიძის ხელმძღვანელობით.

XI კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის

სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები

ტიციან ტაბიძე

ცხოვრება და მოღვაწეობა

ნოდარ გრიგალაშვილი

პაოლომ წაიკითხა თავისი „წერილი დედას“. გლეხებს ესმით სიტყვები: „ბზის განიავება, კალო და კელერი, და სოფლის სიწმინდე მართალი ბათმანი“... ეს სტრიქონები ადვილად აღწევს მათ გონებამდე, ცხადად ჩანს, რომ იწონებენ. ერთმანეთს კმაყოფილებით გადახედეს. პაოლოსაც სიმპატიით შესცქერიან. უეცრად ესმით სტრიქონები: „...და დავიკუნტები ქალაქის ქუჩებში მე – სალახანა“. შემდეგ: „როცა მე ქურდები მეგობრად მრაცხავენ“... და ბოლოს „დედა, ინახულე შენ წმინდა ხახული! წადი ფეხშიშველი, ქალაქში დაკარგულ შვილისთვის ლამე გაათიე“...

ეს სიტყვები გლეხებმა, როგორც ჩანს, თავისებურად გაიგეს. გაიგეს როგორც აღსარება და სინანული. აქამდე თუ გახარებული თვალით შესცქეროდნენ, ახლა დაეჭვებით და ერთგვარი შეცოდებით შეჰყურებენ. ასეთი ლამაზი ვაჟკაცი კარგად ჩაცმული და, თურმე ყოფილი ქურდი... უეცრად ტიციანის სიცილი გვესმის... მეწისქვილეს მისთვის ეკითხნა: – დიდი ხანია, რაც ის ყმაწვილი გამოუშვეს? მაშინვე პაოლოს გააგებინა, რაც მოხდა. ჩვენი ალიბის აღსადგენად საჭირო გახდა განმარტების მიცემა, რაც მეურმეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს. არ ვიცი, დაიჯერეს თუ არა საბოლოოდ, ოღონდ ის კი იყო, რომ ისევ ხალისიანად შემოგვცქეროდნენ.

ლაღლიღებმა, ბოლოს, ტომრებზე ძოვიკალათეთ და წავთელიმეთ. ცისკარზე კი ლაგეოეთ იქაურობა“.

იმ დიდი სიყვარულისა და პატივისცემის მიუხედავად, რაც ტიციან ტაბიძეს თავისი საძმის წერების მიმართ ჰქონდა, იგი უკომპრომისო და მკაცრი იყო, როცა საქმე ლექსის შეფასებას შეეხებოდა. მწერლობასთან მიტმასნილ ყველა უნიჭოს იგი დოსტოევსკის ერთი პერსონაჟის, სმერდიაკოვის, გვარით მოიხსენიებდა. თავის გაზეთ „ბარიკადში“ მან შემოიღო ე.წ. „ბაზელის ქრონიკა“. თუ ვინმე არ მოსწონდა მწერალთაგან, ამ ქრონიკაში მოათავსებდა. ბაზელი კრეტინიზმის სიმბოლო იყო.

აკაკი გაწერელია იგონებს:

-ერთი მწერალი ხმამაღლა აქებს მეორეს:

– ხილვა აქვს, ხილვა!

– რა იხილა მაინც ასეთი მაგ სულელმა, ტიტინ, ა? – იქვდურად ეკითხება ტიციანი.

როგორ მოგწონს „N“ პოეტი – ეკითხებიან მას.

– ისე უყარს ფეხები, რომ დამფუძნებელ კრებას დაშლის!“

ტიციანის ასეთი ენამწარეობის გამო ერთხელ თეთრონ და მისი მეგობრები ერთი კურიოზული ამბის მონაწილენი გამხდარან. გაგაცნობთ ტიციანის მეგობრის, პოეტ გრიგოლ ცეცხლაძის მონათხრობს:

„ტიციანს ძალიან კეთილი ენა ჰქონდა. მისმა ასეთმა ხასიათმა ერთხელ თბილისში მჯოფი სერგეი ესენინი შეცდომაში შეიყვანა, რაც კინალამ ტრაგიკულად დამთავრდა.

მაშინ თბილისში ცხოვრობდა ახალგაზრდა პოეტი რაულ გოგოხია. ის იბეჭდებოდა მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში და საკუთარი ლექსების კრებულიც ჰქონდა გამოცემული, სახელწოდებით „ზამთრის ჩიტურმა“. პოეტობის გარდა, ის კარგა ხელგამართული სპეკულანტიც იყო. ხშირად ჰპატიუებდა იოლად ნაშოვარი ფულებით ქართველ და რუს პოეტებს და მსახიობებს, მათ შორის ძალიან ხშირად პაოლოს, ტიციანსა და მეც.

რაულ გოგოხია დაუახლოვდა სერგეი ესენინს და ერთხელ ესენინი თურმე შეჰპირდა: მომიტანე შენი ლექსების პკარედები და რუსულად გადავთარგმნიო (საერთოდ კი ის არავის თარგმნიდა).

იმ დღეებში ესენინი ტატაბიძეს შეხვედრია და უკითხავს, როგორი პოეტია რაულ გოგოხიაო. ტიციანი კარგ სიტყვას გოგოხიასათვის, აბა, როგორ გაიმეტებდა. მან თურმე ისიც არ მოისურვა, რომ ეთქვა, სუსტი პოეტია. არც აცია, არც აცხელა და უთხრა: გოგოხია პოეტი სულაც არაა, იგი სპეკულანტია, მოუტყუებიხარო.

ესენინმა ეს დაიჯერა. ის, საერთოდ, ეფექტის კაცი იყო და დიდად ეჭვიანი. იფიქრა, ის სპეკულანტი საერთოდ პოეზიას დასცინის, მეც გამაბიაბრაუაო და მისადმი შურისძიების სურვილი გულში ჩაიმარხა. ერთ დღეს, მაშინდელი ქართული კლუბის შესასვლელთან (ახლანდელი გრიბოედოვის სახ. თეატრი) არსებულ რესტორან „კაფე-დეპარი“-ში ერთ სუფრას უსხდნენ: პაოლო, ტიციანი, სერგეი ესენინი და გიორგი ლეონიძე. მახლობელ სუფრას უჯდა ვახიჩა ნანიშვილი ვიღაც მსახიობებთან (ნანიშვილი იყო კარგი მოქეიფე, პოეტებს მეგობრობდა და ხშირად მონაწილეობდა ჩვენს სერობებში). მე ჩემს მეგობართან ვიჯექი მათგან მოშორებით. ამ დროს რესტორანში შემოვიდა რაულ გოგოხია. ესენინი სწრაფი ნახტომით მიეჭრა მას და დაუწყო საშინელი ლანძღვა-გინება (ესენინი უკვე შეზარხოშებული იყო), ეუბნებოდა, ჩემი მასხარად აღებისათვის მე შენ ცხვირ-პირს დაგამტვრევო და საცემრად იწვდა. ესენინი გაოგაკვეთ. გოგოხია დაბნეული, განცვიფრებული შეჩერებულა, ვერ გაგებულიყო, რაში იყო საქმე არ იცოდა, რა ექნა. ხმას ვერ იღებდა. გიორგი ლეონიძე მისი ამხანაგი იყო სემინარიიდან, მივიდა და ჩაუჩურჩულა: დუელში გამოიწვიეო. გოგოხიამ გაისწორა სათვალეები და მტკიცედ დაუყვირა: დუელში გიწვეეო. ესენინს ნანიშვილმა გადაუჩურჩულა: გაჰყვეთო.

დანიშნა დუელი. ესენინის სეკუნდანტი იყო ვახიჩა ნანიშვილი, გოგოხიანი – გიორგი ლეონიძე. ჩვენ, იქ დამსწრეებს, ეს სერიოზულად არ მიგვიღია. ვფიქრობდით, როცა ესენინი გამოფხიზლდება, ბოდიშს მოიხდის, რადგან ტყვილად გამოლანძღა მისი პატივისმცემელი კაცი და შერიგდებიანო, მაგრამ ნანიშვილმა მოინდომა, ეს შემთხვევა თავის გასართობად გამოეყენებია, გიორგი ლეონიძეც აიყოლია. მოლაპარაკდნენ – მოდი, ორთაველ შევაშინოთ და მერე შევარიგოთო.

მეორე დღეს, თურმე, გაუარეს ჯერ გოგოხიას, უთხრეს: ხომ გახსოვს, გუშინ დუელში რომ გამოიწვიე ესენინი, ახლა უკან დახევა მთელი ქართველი ხალხის შერცხვენა იქნება, უნდა წამოხვიდეო, ჩვენ რევოლვერები უკვე მოვამზადეთო.

გიორგოხიას თურმე საკმაოდ ეცვალა ფერ-ფური, მაგრამ ჩაიცვა და გაჰყვა „სეკუნდანტებს“. შემდეგ ესენინთან წავიდნენ. ის სასტუმრო „ორიანტში“ ცხოვრობდა, მესამე სართულზე. ლეონიძემ და გოგოხიამ ქუჩაში დაიცადეს. ნანიშვილი მიადგა ესენინს: გოგოხია და მისი სეკუნდანტი ლეონიძე ქუჩაში გველოდებიანო. ესენინიც კარგა მაგრად შეშინებულა, მაგრამ ხელადვე მოუფიქრებია დუელიდან თავის დაღწევის ხერხი. ნანიშვილისთვის უთქვამს, წამოვალ, მაგრამ აქეე, გვერდით ნომერში მეგობარი მყავს და მას დაველმშვიდობებიო. დაუკაკუნებია კარებზე, გამოსულა ჩეკისტი, რომელსაც ნანიშვილი შორიდან იცნობდა. ესენინი გადაეხვია თურმე იმ ჩეკისტს და გულაჩუყებით უთხრა: მშვიდობით, სამუდამოდ მშვიდობით. ჩეკისტი თურმე გაოცდა და ჰკითხა: რა მოგვიდა, ძვირფასო სერიოჟა, სად მიდიხარო. ესენინს უპასუხია: დუელში ვარ გამოწვეული და ჩემი სეკუნდანტიც აქ არისო. მაგრამ ნანიშვილი მიმხვდარა, საქმე სახუმაროდ ალარ იყო. ჩეკისტი გამოდევნებია ლანძღვა-გინებით, მაგრამ ველარ დასწევია. ასე დამთავრდა ეს ამბავი...

ტიციანის თანამედროვენი ისე არ ახსენებენ პოეტის სახელს, ისე არ წარმოიდგენენ პოეტის პორტრეტს, თუ წითელი მიხაკიც არ გაიხსენეს. მთელი ცხოვრება ტიციანი გულზე დაბნეული წითელი მიხაკით დადიოდა. რა იყო ეს, ორიგინალური ყვავილი. მიხაკის სიყვარული, უაღლესის მიბაძვა თუ წითელი მიხაკის სახით გულზე მიმხმარი სისხლის ლაქის ტარება?

„ნუთუ სისხლისფერი მიხაკი
ბრდღვიალა
მისნურად ამხელდა გადახსნილ
იარას?!
ნუთუ ბედისწერამ წინასწარ
განჭვრეტა
და ბრმად გაიაზრა მისი
დასასრული?“
(შ.ნიშნიანიძე)

ასე იყო თუ ისე, გულის დამბეჟანული წითელი მიხაკი პოეტს მართლა გულზედ მიმხმარ სისხლის ლაქად ექცა.

თევზს წყალი უნდა სიცოცხლისათვის, ადამიანს სიყვარული. პოეტის ფილტვებს უსიყვარულო საზოგადოებაში ჟანგბადი ალარ აქვს. იგი უწყლოდ დარჩენილ, ქვებზე მოფრთხიალე კალმახს ჰგავს. თუ გამოჩნდება ვინმე მადლიანი, აიყვანს თევზს და მშრალი ქვებიდან კვლავ მდინარეში შეაცურებს. ხომ გაგრძელდება სიცოცხლე. თუ არა და, თავი მაინც არ უნდა გავუჩენოთ ისედაც მომაკვდავ კალმახს.

დიდი ინკვიზიციის წლებში „უკანგბადო“ უსიყვარულო გარემოცვაში აწრიალებული ტიციანი დაწერს:

„გარჩენილი ვარ ქვაზე კალმახი
და ახეული მაქვს ლაკუნები
შემართულია ფეხზე ჩახმახი
და უსიკვდილოდ ვერ გადეურჩები“.

ვერ გადაურჩა. 1937 წელი მისთვისაც უკანასკნელი წელიწადი აღმოჩნდა. წაიყვანეს და კაცმა არ იცის, სად ჩაკლეს იგი. საფლავიც არ გვაქვს ტიციან ტაბიძისა...

მოიძიეთ ნომერში დასაბეჭდება ტიციანის საპროგრამო ლექსების განხილვა

გაგრძელება, დასაწყისი იხ. „საქართველო“ №8,9

ეროვნული ინფორმაციები

კანონი ამოქმედდა და სრულდება

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ჩაწერის თავისუფალი გადაადგილების წესის თაობაზე, საქართველოს პარლამენტმა 1996 წელს მიიღო კანონი „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და პირადობის დადასტურების წესის შესახებ“, რის შემდეგაც გაუქმდა ჩაწერის ინსტიტუტი. ამ საკითხთან დაკავშირებით, გუშინ საკონსტიტუციო და იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, მიხეილ სააკაშვილმა პრესკონფერენცია ჩაატარა. „აღნიშნულ კანონს მხარს უჭერდა საქართველოს პრეზიდენტი, აღნიშნა სააკაშვილმა, მაგრამ მას სერიოზული მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ“. ქალაქის მერიამ განაცხადა, რომ ეს კანონი საქართველოში, ჯერჯერობით, ვერ განხორციელდება. ამიტომ შესაძლებელია დაწესდეს გადასახადი რამდენიმე ათასი ლარის ოდენობით. ქალაქის პოლიციის სამმართველოც სერიოზული ოპონენტი აღმოჩნდა. ქალაქის მერის ბადრი შოშიტაიშვილის ხელმოწერით, საქართველოს მთავრობას გაეგზავნა მიმართვა, რომელშიც პოლიციის სამმართველოზე დაყრდნობით ნათქვამია, რომ უნდა მოხდეს საპასპორტო რეჟიმის ლიბერალიზაცია, რადგან აღნიშნულმა კანონმა გამოიწვია კრიმინოგენული სიტუაციის გამწვავება. ყოველივე ეს კი აშკარად სიყალბეა, - აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

მიხეილ სააკაშვილის თქმით, ჩაწერის ინსტიტუტით ხელს ითბობდა რამდენიმე ასეული ადამიანი, რომლებიც, ამჟამად, უფუნქციოდ არიან დარჩენილნი. მათ 5 თებერვალს პიკეტი მოაწყვეს მთავრობის სასახლის წინ. სააკაშვილის თქმით, მათ დეპუტატთა ერთი ნაწილიც უჭერს მხარს. კანონი კი ამოქმედდა და სრულდება, აღნიშნა პრესკონფერენციის ბოლოს მიხეილ სააკაშვილმა. (იბერია)

სტიქია ბრძოლდება

ჩოხატაურში და მის მაღალმთიან სოფლებში თოვლის საფარმა 1,5 – 2 მეტრს მიაღწია. რის გამოც შეწყვეტილია მათთან საავტომობილო მიმოსვლა. გურიის სამხარეო ადმინისტრაციასთან და რაიონების გამგეობებთან შექმნილია სპეციალური შტაბები. მობილიზებულია ტექნიკა. მიმდინარეობს გზის გაწმენდის სამუშაოები. ყველა რაიონში საკმარისადაა ფქვილის მარაგი, ცხვება პური, მუშაობენ მნიშვნელოვანი ობიექტები. უკვე რამოდენიმე დღეა მხარეს პრაქტიკულად არ მიეწოდება ელექტროენერგია. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ დიდი შეფერხებით მუშაობს „ბეჟეჟესი“. უმნიშვნელოვანესი ობიექტების ფუნქციონირებისათვის აუცილებელია „საქენერგომ“ მხარის რაიონებს მიაწოდოს ელენერგიის მინიმალური რაოდენობა მაინც: ოზურგეთს 3 მგვტ. ლანჩხუთს 2 მგვტ. ჩოხატაურს 1,5 მგვტ.

* * *

ბალდადის რ-ნში დიდთოვლობის გამო სატრანსპორტო მიმოსვლა დროებით შეწყდა ზეგანის, საკრაულასა და ხნის საკრებულოებთან.

ზესტაფონის რ-ნში განსაკუთრებით დიდი (1,5 მ) თოვლის საფარია აღმოსავლეთ ზონის სოფლებში. რაიონის გამგეობამ დაიწყო გზის გაწმენდის სამუშაოები. ცხვება პური. მნიშვნელოვან ობიექტებს ელექტროენერგია გრაფიკით მიეწოდება.

ვანის რ-ნის სოფლებში მიმდინარეობს საავტომობილო გზების გაწმენდა.

* * *

ჯვრის უღელტეხილზე თოვლის საფარის სიმაღლე 2 მეტრს აღწევს. განუწყვეტლივ მიმდინარეობს გზის გაწმენდის სამუშაოები. უღელტეხილზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა დაშვებულია მხოლოდ მოცურების საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენებით. (იფრინდა)

ნოდარ წულეისკირი: ვაი, იმ მწერლის ბრალი, ვისაც ჟორჟოლიანობა უნდა, ილია ჭავჭავაძეობა ყველა ქართველი მწერლის იდეალია

სტენოგრაფიული ანგარიში საქართველოს მწერალთა ღია კრებისა. 1978 წლის 11 აპრილი.

ვიდრე კონსტიტუციის პროექტზე ვილაპარაკებდე, მინდა ნათელი მოვფინო მწერალთა კავშირის მდივნის გიორგი ჟორჟოლიანისა და ჩემს დამოკიდებულებას.

უკვე ორჯერ გამოვიდა გიორგი ჟორჟოლიანი ჩემს წინააღმდეგ მწერალთა კავშირში და დამრიგებლური დინჯი ტონით, ცოტა ქედმაღლურად, ცოტა ირონიულად ჩემს მოსაზრებებს დაუპირისპირდა, ყველა საკითხზე საბოლოოდ „ამომწურავი“ პასუხი მომცა. კერძოდ, როცა მე ზვიად გამსახურდიას დასაცავად გამოვდიოდი, მან საპასუხო სიტყვაში ზგამსახურდიას ეაჭკაცობა დაუწუნა. თუკი მწერალთა კავშირის წესდებას არ ვასრულებთ, ვაუკაცობა უნდა გვეყოს და წავიდეთ მწერალთა კავშირიდანო – დაახლოებით ასე ბრძანა. ხოლო, როცა საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტის თაობაზე ჩემი მოსაზრებანი გამოვთქვი, საპასუხო სიტყვაში, – მე არ ვიცი რამდენად ღრმა იყო წულეისკირის გამოსვლა, მაგრამ... – ასე ჩამოაყალიბა თავისი მოსაზრება. ეს კიდევ არაფერი, პატივცემულო, ბატონო გიორგი. თქვენ ნახევრად ცინიკური, ირონიული დამოკიდებულება გაქვთ მწერალთა კავშირის სხვა წევრებისადმიც, ხოლო ყველაფერ ამას საფუძვლად უდევს თქვენი ბუნებიდან, ხასიათიდან გამომდინარე, მეტად მცდარი, მწერალთა კავშირისათვის, საერთოდ, ყოველი ქართველი მწერლისათვის მაენე მოსაზრება და დამოკიდებულება პატრიოტული გრძნობისადმი, სამშობლოსადმი.

მე თქვენ კაბინეტში ჩვენი პირველი შეხვედრისას მითხარით: *არ გინდა ეს ილია ჭავჭავაძეობა.* აი, სათავე ჩვენი უბედურებისა, აი, რატომ უწუნებთ თქვენ ზგამსახურდიას ვაუკაცობას, რატომ გაქვთ ირონიული დამოკიდებულება ჩემდამი და სხვებისადმი. პასუხი ბატონო გიორგი, თქვენ იქვე მიიღეთ, მაგრამ, როგორც ჩანს, საჯარო პასუხიც აუცილებელია, საჯაროდ უნდა გაირკვეს ვის რა უნდა და ვინ რისთვისაა მოსული მწერალთა კავშირში. მე პირადად ილია ჭავჭავაძეობა ძალიან მინდა, შეუძლებელია ქართველ მწერალს, ზნეობრივად სპეტაკს და შეურყვნელ ადამიანს ილია ჭავჭავაძეობა სასაცილოდ ეჩვენებოდეს. ყველას უნდა ჰქონდეს ეს სურვილი. ვინ როგორ შესძლებს ამას, ეს სხვა საკითხია.

ეი იმ მწერლის ბრალი, ვისაც ჟორჟოლიანობა უნდა, ილია ჭავჭავაძეობა ყველა ქართველი მწერლის უმაღლესი იდეალია. შემთხვევით ჩამოვაგდე სიტყვა გიორგი ჟორჟოლიანზე. ჟორჟოლიანი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, გახლავთ მწერალთა კავშირის მდივანი. მწერალთა კავშირის მდივანი წესდებით უნდა აირჩეს პლენუმზე მწერალთა გამგეობის წევრთაგან. მე პლენუმის წევრი გახლავართ, მაგრამ ასეთი პლენუმი მწერალთა კავშირში არ ჩატარებულა. გიორგი ჟორჟოლიანი გამგეობის წევრი კი არა, მწერალთა კავშირის წევრიც კი არ ყოფილა, როცა მწერალთა კავშირის მდივნად დანიშნეს. ახლა მე გეკითხებით თქვენ, პატივცემულო გიორგი, ზგამსახურდიას ბრალი დაედო იმაში, რომ მან არ შეასრულა მწერალთა კავშირის წესდება და გაირიცხა მწერალთა კავშირიდან, თქვენ კი იმ წესდების არც ერთ მუხლს არა და ვერ ასრულებთ, ვერ აკმაყოფილებთ, არა და მწერალთა კავშირის მდივანი კი ბრძანდებით.

ვაუკაცობას და გმირობას თავი რომ დავანებოთ, ეს ზნეობრივი საკიელია? უფრო მეტსაც გეტყვით, როცა მე ჩემი გაოცება საჯაროდ გამოვთქვი, ამიხსნეს, ეს როგორ არ იცი, ასეთი წესი გვაქვს, ერთი მდივანი ყოველთვის ზევიდან ინიშნებაო, სამწუხაროდ, ვიცი, ერთი კი არა, ყველა მდივანი ზევიდან ინიშნება. ჭეშმარიტი, დემოკრატიული კენჭისყრა კარგა ხანია გადაგვეიწყდა. წესდების დარღვევა, ძალადობა და თვითნებობა წესად გვექცა. ბუნებრივია, ისეთ ულონო მწერლობას, ვისაც თავისი შინაური საქმეები ვერ მოუგვარებია, თავისი წესდება და ავტორიტეტი ვერ დაუცავს, არავინ ჰკითხავს კონსტიტუციის პროექტში რაიმე ცვლილებების შეტანას.

საქართველოს სსრ კონსტიტუცია უკვე ხელთა გვაქვს და ახლა ამ ე.წ. პროექტში ზოგიერთი სიტყვის შეცვლა ან გადაადგილება თუ შეიძლება, სხვა არაფერი. თანაც უნდა გვახსოვდეს, რომ სიტყვა „ხმარებას“ უკან დგას სიტყვა „Употребление“, მრისხანე სიტყვა, უძლეველი სიტყვა. თურმე მთელი საქართველო დაესია, მაგრამ ძერა ვერ უყო ადგილიდან. სხვა სიტყვით მისი შეცვლა არ მოხერხდა, არც მოხერხდება... ნეტა მართლა, ეს ერთი სიტყვა გეტკენდეს გულს, ამ ერთ სიტყვაზე ეკიდოს კონსტიტუციის ავეკარგი და სხვა მანკი არაფერი სჭირდეს. დავიწყოთ იქიდან, რომ ქართველი ერის, საქართველოს სსრ რესპუბლიკის უმაღლესი და უწმინდესი კანონი, ხალხის სახელით გამოცხადებული ქარტია, რუსულ ენაზე იწერება. რატომ იწერება რუსულ ენაზე და მერე სათარგმნი ენად გეიხდება ჩვენი საკუთარი კონსტიტუცია, განა საკუთარი ენა არ გაგვაჩნია? თუ ქართულად დაიწერა, რად შეიქმნა ამდენი დავა-კამათი სიტყვა „Употребление“-ს გარშემო? ქართულ კონსტიტუციაში რუსული სიტყვა როგორღა გაჩნდა? ეს ხალხს უნდა განემარტოს. ნუთუ მურვან ყრუს დროინდელი საქართველოდან წინ ერთი ნაბიჯიც არ გადაგვიდგამს? მაშინ ჰაბიბ იბნ მასლამამ ქართველობას „დაცვის სიგელი“ არაბულ ენაზე დაუწერა, თუმცა ერი იაკობ ცურტაველის ენაზე მეტყველებდა. მსგავი რამ დღესაც თუ ხდება საქართველოში, ეს უნდა ვიცოდეთ. შიშველი სიმართლე გვინდა, შეუფერადებელი მწარე სიმართლე. კულტურისან ერებს კონსტიტუცია ყოველთვის მშობლიურ ენაზე დაუწერიათ, ჩვენი კონსტიტუცია კი სხვათა ენაზე იწერება. ერს რუსთაველის ენა ჰქონდეს და საკონსტიტუციო ენას სხვაგან დაეძებდეს, დაუშვებელია. ახალი კონსტიტუციის პროექტს სწორედ მშობლიურობა აკლია, თითქოს უცხო ხალხის შექმნილია, უცხო ნიადაგზე და ფუძეზეა აშენებული. კონსტიტუციის პროექტი რამდენჯერმე გადავიკითხე ყურადღებით. არსად, არც ერთ თავსა თუ მუხლში ვერ ვიპოვე „ქართველი ერი“, ან თუ გნებავთ „ქართველი ხალხი“. კონსტიტუცია ხომ უნდა ასახავდეს სინამდვილეს. ერთი საუკუნის შემდეგ ჩვენი შთამომავლები, როცა ამ კონსტიტუციას ხელში აიღებენ, არ იკითხავენ, საქართველოს მიწა-წყალზე 1978 წელს ვინ ცხოვრობდაო? ეს კონსტიტუცია ვისი, რომელი ხალხის ძირითადი კანონიაო? ქართველი ხალხი ჯერჯერობით ცხოვრობს საქართველოს მიწა-წყალზე. თანაც გახლავთ ნაციონალური უმრავლესობა, მაშასადამე, ეს სათანადოდ უნდა აისახოს კონსტიტუციაში, კონსტიტუციის პროექტში. ეს ასე არ არის. ერის ვინაობა, ვინც კონსტიტუციას აცხადებს, უფრო ხშირად გამეღავნებულია კონსტიტუციის შესავალ ნაწილში (პრეამბულა). წაგიკითხავთ ჩვენი კონსტიტუციის სწორედ ამ ნაწილს. „ხელმძღვანელობს რა კომუნიზმის მაღალი იდეალებით და სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) შესაბამისად, რომელმაც დაამკვიდრა სსრკ საზოგადოებრივი წეს-წყობილებისა და პოლიტიკის საფუძვლები, დაადგინა მოქალაქეთა უფლებანი, თავისუფლებანი და მოვალეობანი, სოციალისტური, საერთო-სახალხო სახელმწიფოს ორგანიზაციის პრინციპები და მიზნები. *საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის* ხალხი აცხადებს ამ კონსტიტუციას“. აჰა! საქ. სსრ ხალხი, ვიღაც ახალი ხალხი მოსულა ქართულ მიწაზე? ხომ შეიძლება, ეს ხალხი იყოს რუსიც, სომეხიც, თურქიც, არაბიც. იქნებ ქართველები აიყარნენ და სხვაგან წაიდნენ საცხოვრებლად? ახლა გთავაზობთ ამ *ქართული ენა.* ახლა გადავშალოთ საქ.სსრ პირველი კონსტიტუცია, დამტკიცებული საბჭოების პირველი ყრილობის მიერ 1922 წ. თავი II, მუხლი 6. „საქ.სსრ სახელმწიფო ენად ითელება ქართული ენა“. ყველა ცენტრალურ სახელმწიფო დაწესებულებათა რეზიდენციად ქ.ფილისი. შენიშვნა: ეროვნულ უმცირესობათ ენიჭებათ თავისუფალი განვითარებისა და სამშობლო ენის ხმარების უფლება როგორც საკუთარ ეროვნულ-კულტურულს, ისე საერთო სახელმწიფო დაწესებულებებში“.

ყველაზე სრულად, ნათლად და ლაკონურად ქართული ენის უფლებამოსილებანი ჩამოყალიბდა საქ.სსრ 1937 წ. კონსტიტუციაში: მუხლი 156. „საქ.სსრ სახელმწიფო ენა არის ქართული ენა. საქ.სსრ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნულ უმცირესობისათვის უზრუნველყოფილია უფლება თავისუფალი განვითარებისა და დედაენის ხმარებისა, როგორც თავის კულტურულ, ისე სახელმწიფო დაწესებულებებში. მუხლი 157. კანონები და აგრეთვე საქ.სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და განმარტებანი, საქ.სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი და განკარგულებანი ქვეყნდება ქართულ ენაზე, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქებისათვის ქართულ ენაზე და ავტონომიური რესპუბლიკის ან ავტოლქის ენაზე“. როგორც ვხედავთ, სამ კონსტიტუციაში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც, ლენინის სიცოცხლეში, ლენინის გარდაცვალების შემდეგაც, სტალინის სიცოცხლეში, სტალინის გარდაცვალების დიდი პოლიტიკური და სოციალური ძვრების შემდეგაც, საქ.სსრ კონსტიტუციაში იცვლებოდა თითქმის ყველა მუხლი, არ იცვლებოდა მხოლოდ ეს: „საქ.სსრ სახელმწიფო ენა არის ქართული ენა“, არ იცვლებოდა იმიტომ, რომ შეცვლა არ შეიძლებოდა. უსამართლობა, უკანონობაა, მთელ ერს წაართვა ენა. ამ კონსტიტუციაში ქართულ ენას მინიჭებული ჰქონდა ის უფლებები, რაც მას ეკუთვნოდა. ხელყოფას ვეღარავინ ბედავდა. მართალია, ძვირფასი სიტყვები მხოლოდ ქაღალდზე ეწერა, ვისაც ეეალებოდა მისი შესრულება არ ასრულებდა, მაგრამ ეს ფარატინა ქაღალდებიც იმედს იძლეოდა. კანონი იცავდა ქართულ ენას. უმაღლესი კანონი – კონსტიტუცია ქართველი ერის სულიერებას გაბოროტებდა და ამ სულიერებას ეს კანონი ეუბნებოდა, რომ ტანჯვაზობენ სამაგიეროდ, როგორ შეიცვალა ქართული ენის უფლებამოსილებანი კონსტიტუციის ახალ პროექტში. ეს მუხლი დღეს უკვე ზეპირად იცის მთელმა საქართველომ, მაგრამ მე მაინც უნდა მოვიტანო სრულად და თქვენთან ერთად გაეჩხრიკო გულდაგული: 75 მუხლი – „საქ.სსრ უზრუნველყოფს ქართული ენის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში კულტურულ და სხვა დაწესებულებებში და ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას მისი ყოველმხრივი განვითარებისათვის. საქ.სსრ ყველა ამ ორგანოსა და დაწესებულებებში, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, უზრუნველყოფილია თავისუფალი ხმარება რუსული, აგრეთვე სხვა ენებისა, რომლითაც მოსახლეობა სარგებლობს. რაიმე პრივილეგიები ან შეზღუდვები ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება“. სამწუხაროდ, ამავე მუხლით ამ სტრიქონებიდანვე ნათლად ჩანს, რომ რუსული ენის პრივილეგია დაშვებულია და ქართული ენის შეზღუდვა „უზრუნველყოფილია“. კონსტიტუციურად – გაფორმდა ეს უკანონობა, უსამართლობა, რასაც საქართველოს კომუნისტური პარტია, მისი ცკ და მთავრობა იქმოდა ათეული წლების მანძილზე. კონსტიტუციაში ეწერა ქართული ენა სახელმწიფო ენაა. თვითონ წერდნენ და მეტყველებდნენ რუსულ ენაზე, – სახელმწიფო ენად რუსული ენა თვითონ ვაქციეთ. შედეგმაც არ დააყოვნა – სიმართლე კონსტიტუციაში აისახა: თუ საქართველოში ბაბილონის გოდოლის არსებობას დაეუშვებთ, 75 მუხლის მეორე ნაწილი მაშინაც კი გაუგებარი დარჩება მლიქვნელობაში გავარჯიშებული ტვინისათვის. „საქ.სსრ ყველა ამ ორგანოსა და დაწესებულებაში *თანასწორუფლებიანობის საფუძველზე* უზრუნველყოფილია ხმარება *რუსული,* აგრეთვე სხვა ენებისა, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს. „აგრეთვე სხვა ენებში“ იგულისხმება ალბათ აფხაზური, ოსური, სომხური, აზერბაიჯანული და ა.შ. განა უფრო სამართლიანი და თუ გნებავთ ლენინური არ იქნებოდა, რომ დაგვეწერა: „თავისუფალი ხმარება აფხაზური, ოსური, აგრეთვე სხვა ენებისა“! რასაკვირველია, მაგრამ მაშინ ხომ მიზანი მიულწეველი დარჩებოდა, ორენოენება ვერ დაკანონდებოდა. ალბათ ახალი კონსტიტუციის ავტორებს ახსოვთ ლენინის ცნობილი წერილი „საჭიროა თუ არა საეალდებულო სახელმწიფო ენა“. ამ წერილში ლენინი რუსული ენის საეალდებულო სწავლების წინააღმდეგია. „ვისაც თავისი ცხოვრებისა და მუშაობის პირობების გამო რუსული ენის ცოდნა სჭირდება, მას უჯეოხოდაც შეისწავლიან, ხოლო ძალდატანება (ჯეოხი) მხოლოდ ერთ რამეს გამოიწვევს: იგი დაბრკოლებს დიადი და მძლავრი რუსული ენის გავრცელებას სხვა ეროვნულ ჯგუფებში და, რაც მთავარია, გამწვავებს მტრობას“.

რუსული ენა შინ და გარეთ ურთიერთობის საშუალებაა. ეს პრივილეგია მას ცხოვრებამ მიანიჭა და ჩვენი აქტიურობა ვერაფერს შემატებს, პირიქით, გააღვივებს შურლს და ურთიერთ გაუგებრობას (ლენინის სიტყვებია). სამართლე ეს არის ამხანაგებო, აქ თვალის მოხუჭვა შეუძლებელია. ამიერიდან ქართულ ენას საქართველოში ისეთივე უფლება ენიჭება, როგორიც ემიგრანტულ ქართველობას ებოძა თავის დროზე. საფრანგეთში ქართველ ემიგრანტებს არავინ უკრძალავს ქართული ენის ხმარებას, გაზეთებსაც სცემენ, ჟურნალებსაც, შინაც ქართულად ლაპარაკობენ და ეკლესიაშიც ქართულად ლოცულობენ, მაგრამ მათი კონსტიტუცია ფრანგულ ენაზე დაიწერა, ისინი საფრანგეთის მოქალაქენი არიან – სახელმწიფო ენა ფრანგულია.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დაიჭირე და მტკიცება მოიძებნება“

ანუ სახელმწიფოს „ტერორისტების“ მომზადება 4 მილიონი დოლარი დაუჯდა...

ეს წერილი ჩვენს მიერ მოპოვებული მასალების მიხედვით დაიწერა. საქართველოს პროკურატურაში გენპროკურორის საგამოძიებო აპარატის გამომძიებელმა, ბატონმა გიგლა აგულაშვილმა, ძიების ინტერესებიდან გამომდინარე, დამთავრებული საქმე არ გაგვაცნო. ბატონმა გიგლამ განაცხადა, რომ ამ წერილის დაბეჭდვის შემდეგ, თუ საჭიროდ ჩათვლის, მაშინ მოგვაწვდის მასალებს.

მართალია, 29 აგვისტოს ტერაქტის გამოძიება დამთავრდა, მაგრამ მისი ობიექტურობა უკვე აქედანვე გარკვეულ ეჭვს იწვევს. მხედველობაში გვაქვს სპეცდანიშნულების რაზმის „ომეგას“ უფროსის ნიკა კვეზერელის საქმე. მასალების გაცნობისას იქმნება შთაბეჭდილება, რომ ტერაქტის მონაწილეთა ჯგუფის გაზრდა ხელოვნურად ხდება.

აღსანიშნავია, რომ მავანნი დიდად დაინტერესდნენ „ომეგას“ დაშლით, რომლის 50 წევრის მომზადებაც აშშ-ში 4 მილიონი დოლარი დაჯდა. რამდენიმე წევრი საეჭვო ვითარებაში დაიღუპა – ვაკობერიძე თურმე პოლიციელებს ნარკომანში „შეეშალათ“, გღლონტი ქუჩაში ჩხუბისას მოკლეს, კლეშაშელი კი გაურკვეველ ვითარებაში ავტოსაგზაო შემთხვევამ იმსხვერპლა, „ომეგას“ რამდენიმე წევრი უნდობლობითაა დათხოვნილი, ზოგიც კადრების განკარგულებაშია აყვანილი. ანეგდოტურია გიორგი გოგიტიძის საქმე, რომელიც 29 აგვისტოს ტერაქტთან დაკავშირებით აიყვანეს, ხოლო გურჯაანში ჩადენილი ხულიგნობისთვის 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. თურმე „მერსედესით“ მომავალ „ომეგელებს“ მიმავალ „მოსკვიჩში“ მჯდარნი დაუყაჩაღებიათ. სინამდვილეში „მოსკვიჩში“ მყოფი მთვრალები მათ გზას უღობავდნენ. „ომეგელებმა“ კი ისინი მანქანიდან გადმოიყვანეს და სცემეს. გასაკვირია, თუ საქმეში დაყაჩაღებაა აღნიშნული, მაშინ ხულიგნობისთვის როგორღა გაასამართლეს გგოგიტიძე? საკითხავია, რატომ არ დაისაჯნენ „მოსკვიჩის“ მგზავრები, რომლებიც მთვრალები იყვნენ და მოძრაობის წესებს არღვევდნენ? ასევე სხვადასხვა საქმეებთან დაკავშირებით დაკავებულნი არიან „ომეგელები“: თაპაძე, გჯალაშვილი, გბოხუა, ლკვირაია.

მკითხველს ისიც დაინტერესებს, რომ „ომეგას“ ზემოთაღნიშნულ ვითარებათა გამო 13 წევრი გამოაკლდა, რაც თავისთავად საგანგაშოა და პასუხისმგებლობაც უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელობას ეკალება. ცნობილია, რომ სპეცჯგუფის აშშ-ში მოსამზადებლად გაგზავნის კანდიდატურები საგანგებოდ ირჩეოდა. გამოდის, რომ ეს პიროვნებები სერიოზულად არ შეისწავლეს. გამოდის, რომ სახელმწიფოს „ტერორისტთა“ მოზადება 4 მილიონი დოლარი დაუჯდა. ჩვენისთვის კი ამაზე დიდი სირცხვილი წარმოუდგენელია. ამავე დროს ეს პოლიტიკურ ეფექტადობასაც იძენს. გამოდის, რომ ჩვენმა პარტნიორებმა ტერორიზმთან ბრძოლის ჯგუფის მაგერად, ჩამოყალიბებული ტერორისტები გამოგვიგზავნეს. ამ შემთხვევაში მეტი ნდობა გამოეცხადა რუსეთში მომზადებულ „ალფას“. თუკი გავითვალისწინებთ ხელისუფლების რუსეთზე ორიენტაციას, საქართველოს შეიარაღებული ჯარების მინისტრ ნადიბაიძის პოზიციას, მკითხველისათვის ყველაფერი ნათელი გახდება. ამას გარდა, პატიმრებისა და ადვოკატებისთვის 57 ტომიანი საქმის გაცნობა ხელოვნურად ჭიანურდება. „რატომღაც“ ამ პროცედურის დასაჩქარებლად საქმის ქაღალდასლები არ გაკეთდა. გამომძიებელმა კ.ნარჩემაშვილმა, ნკვეზერელის გამოძიებასთან დაკავშირებულმა, რომელმაც ადვოკატების ზარსოლიაშვილის, დგორგიშვილის, გ.ჯიმშელაძის, ასევე ადვოკატ რჩეულიშვილის მტკიცებით სხვა საქმესთან დაკავშირებით) გამოძიების მასალები გააყალბა, დააწინაურეს და უშიშროების სამეთაროში გადაიყვანეს. შეიძლება ითქვას, რომ ტერაქტის საქმეს პოლიტიკური ავანტიურის სუნიც ასდის. ამიტომაც ახლახანს აშშ-ს საგელმწიფო დეპარტამენტმა საპროტესტო განცხადება გააკეთა.

ახლა კი ნკვეზერელის საქმეს დავუბრუნდეთ. 1995 წლის 15 სექტემბერს იგი და „ალფას“ უფროსი პაპუაშვილი შეხვდნენ ე.შევარდნაძეს, რომელმაც ორივე სპეცდანიშნულების რაზმი პირადად დაიქვემდებარა. ამის შემდეგ კი წარმოუდგენელი და ალოგიკური ვითარება იქმნება. 17 სექტემბერს ნიკას სახლში დაურეკა „ომეგას“ ბაზის მორიგემ, რომელმაც შეატყობინა, რომ შკვირაიას თანაშემწის ცნობით, მას შსს მინისტრი იბარებდა. ამის შესახებ ნკვეზერელმა საქმის კურსში ჩააყენა უშიშროების მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ავთ.იოსელიანი და „ომეგას“ ხელმძღვანელობა. ავთ.იოსელიანმა გაიკვირვა და თითქოს არ იცოდა ამ აუდიენციის მიზეზი, რომლის დამთავრების შემდეგ მასთან მისვლა სთხოვა. ნკვეზერელი კი მინისტრის მისაღებში ყოველგვარი ცერემონიის გარეშე დააპატიმრეს და №5 იზოლატორში ჩააყენეს ისე, რომ შკვირაიას არც შეხვედრია. იმავე დღეს, 16 სთ და 30 წთ. 10-15 კაციანი შეიარაღებული ჯგუფი გენპროკურორის სანქციით (რომელსაც ტერაქტის საფუძველი ჰქონდა) ნკვეზერელის ბინის გასაჩხრეკად მივიდა. მათგან ჩხრეკას ბინაში შესული 7 კაცი აწარმოებდა, რომლებიც იარაღსა და ვიდეო, აუდიო ჩანაწერებს ეძებდნენ. ნიკას მშობლებმა ქალაქის პროკურატურაში დარეკეა სცადეს, მაგამ ტელეფონი გათიშული აღმოჩნდა. ამ ჩხრეკას ხელმძღვანელობდნენ საქართველოს პროკურატურის განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი ზმიჭაძე და შსს მე-6 სამმართველოს მუშაკი მკოპალეიშვილი. სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ ჩხრეკის წესების დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

ამასობაში კი 17-დან 19 სექტემბრამდე უკანონოდ დაკავებული ნიკას კვალი არ ჩანდა. მოგვიანებით ბატონმა ირაკლიმ დაურეკა ნიკას ხელმძღვანელობას. საიდანაც შეიტყო, რომ ნიკას მიმართ სამსახურეობრივი მოკვლევა მიმდინარეობდა და 10 დღეში გამოუშვებდნენ. ამასობაში ავთ. იოსელიანს გამოაწერინეს 17-27 სექტემბრის ვადით ჰაუპტვახტი და ნიკა 20 სექტემბერს უშიშროების სამინისტროს იზოლატორში გადაიყვანეს. პარალელურად, სსკ 121-ე მუხლით შეადგინეს დაკავების ოქმი – სულ სხვა საბაბით – 1995 წლის 21 ივლისს ნიკას მეგობრის, გია ღლონტის მკვლელობაში ეჭვმიტანილი პირების დაკავებისას სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის. სინამდვილეში კი „ომეგას“ ყოფილი ოფიცერი გღლონტი გაუგებრობის ნიადაგზე პოლიციის მუშაკებმა მოკლეს, რომლებიც ამჟამად განთავისუფლებულნი არიან, ხოლო მათი დამკავებელი ნკვეზერელი კი დაპატიმრეს! უცებ გაჩნდა „დაზარალებულიც“ – გენპროკურორის მისაღებში მომუშავე გიორგი თეთრაძე. მან ნიკას დაკავების შემდეგ, გენპროკურორის სახელზე დაწერა განცხადება, თითქოს ნიკას მისთვის სხეულის დაზიანება მიეყენებინოს. ყურადღებამიაქცევია, რომ მკვლელობის დროს (ივნისის თვეში) მას სხეულის მსუბუქი დაზიანება (ჯანმრთელობის მოუშლელად) ჰქონდა აღნიშნული, რომელიც ნოემბერში გამომძიებლის დასკვნით ნაკლებად მძიმე დაზიანებით შეიცვალა (ექსპერტი მაღრაძე). ეს დასკვნა 31-ე ქარხნის საავადმყოფოში თეთრაძისთვის 21 დღიანი „ჩატარებული მკურნალობის“ შედეგი.

გამომძიებამ დაარღვია საქართველოს კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც ეჭვმიტანილის დაკავება მხოლოდ 72 საათის განმავლობაშია შესაძლებელი და მას სწორედ ამ დროის მონაკვეთში უნდა წარედგინოს ბრალი. ნკვეზერელს კი მხოლოდ 1996 წლის 1 მაისს წარედგინა ბრალი 18 მუხლით, მათ შორის სამშობლოს ღალატისა და ბანდიტიზმისთვის. ნიკამ, როდესაც სამშობლოს მოღალატედ მამხილებელთან დაპირისპირება მოითხოვა, მას გამომძიებელმა ვიღაც ჭალი მიუყვანა, რომელიც თურმე მას ფულის გამოძალვის მიზნით 1994 წელს გაუტაცია. სხვა „მამხილებლებთან“ დაპირისპირება არ შემდგარა. ამავე დროს, ნიკასა და მის ადვოკატს, პოზიციის ჩამოყალიბების საშუალება არ მისცა გამომძიებელმა ვეფხია კობიაშვილმა. უფრო მეტიც, ნიკა მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით არც დაუკითხავთ.

აღნიშნული ტენდენციურობის გამო ნიკა 1-21 მაისს შიმშილობდა – ოჯახის წევრებთან და ქალბატონ ეთვედორაძესთან შეხვედრის მოთხოვნით, რისი დაკმაყოფილებაც ასეთი იძულებით იქნა შესაძლებელი. აღსანიშნავია ისიც, რომ ტერაქტის მონაწილეობაში ეჭვმიტანილებისათვის შს სამინისტროს დროებითი დაკავების საკანი სასწრაფოდ „გადაკეთდა“ №5 იზოლატორად. რომელიც აუცილებელ სათანადო მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს და ადვოკატსაც არ უშვებდნენ, შეხვედრისათვის გამოყოფილი ოთახის დაკავების მიზეზით. მკითხველისათვის საინტერესო იქნება იმის გაგებაც, რომ ნიკაზე უშიშროების სამინისტროს კარგი დახასიათება აქვს გაცემული, ამდენად გაუგებარია ავთ.იოსელიანის პოზიცია, როდესაც ყოვლად დადებით პიროვნებას უსაფუძველოდ აკავებს! რას მიეაწეროთ ეს?...

ნკვეზერელის შესახებ პრესაც კარგა ხანს დუმდა. ვიდეოპატრულმა ერთ-ერთ გადაცემაში გამოაცხადა: „ინაუგურაციის დროს მზადდებოდა პრეზიდენტზე თავდასხმა“, რომელთა შორის ნახსენებია ჭოსელიანი, გგელაშვილი, თახაჩიშვილი და ნკვეზერელი. ეს იმ დროს, როდესაც ნიკა უკვე პატიმარი იყო. ალბათ, მსგავსი აბსურდი წარმოუდგენელია, რომელიც 30-იანი წლების დამსჯელ მექანიზმს იმეორებს. 1996 წლის 28 მარტს კი გადაცემა „პუბლიცისტმა“ ტერაქტის მონაწილეთა შორის ნკვეზერელიც დასახელა. ამავე დროს ნკვეზერელი ხაბეიშვილის მკვლელობაშიც მოიხსენიეს. შეიძლება ითქვას, რომ „ვიდეოპატრული“ საზოგადოებას დეზინფორმაციას აწვდიდა ნკვეზერელის შესახებ და მას ორგანიზატორის „იმიჯს“ უქმნიდა.

ნკვეზერელის დაპატიმრების საბაბად საქმეში არსებობს ავთანდილ გოგოტიშვილის ჩვენება. სადაც იგი ამბობს, რომ გგელაშვილს მიერ განხორციელებული აფეთქების შემდეგ იგი ნიკასთან ავიდა და მომხდარის შესახებ უამბო. ეს ჩვენება ავთ.გოგოტიშვილმა მოგვიანებით უარყო, რომელიც თითქოს საქმიდან გაქრა. გამომძიებელმა კნარჩემაშვილმა კი გვითხრა, რომ იგი საქმეში არსებობს.

ნკვეზერელის ასეთი აშკარა დევნის საბაბი შეიძლება ე.თვედორაძის მიერ გამოთქმული ვარაუდიც იყოს. კერძოდ ის, რომ ნიკამ ბევრი იცის მაღალი თანამდებობის პირთა შესახებ, რის გამოც შეიძლება ანგარიშსწორებაც მოუწყონ (გაზ. „ალია“, 1996, №59). სწორედ ეს „ბევრის ცოდნა“ ხომ არ განაპირობებს გამოძიების მხრიდან პატიმართან ადვოკატთა შეხვედრის ხელოვნურ ხელისშეშლას?

ასევე საკამათოა პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის ზუსტი განსაზღვრა. №5 იზოლატორის სამედიცინო ნაწილის უფროსმა ავაშაძემ საკმაოდ მძიმე დიაგნოზი დასვა: გულის იშემიური დაავადება ხშირი სტენოკარდიული შეტევებით, შარდკენჭოვანი დაავადება და ფილტვების ტუბერკულიოზი, მუდმივი დაბალი ტემპერატურით, ქრონიკული პროსტატიტი. ამ დასკვნის დასაზუსტებლად მოწვეული იქნა რესპუბლიკური საავადმყოფოს ფტიზიატრიული განყოფილების გამგე, აკადემიკოსი ზურაბ კალანდაძე, რომელმაც ტუბერკულიოზი გამორიცხა. ნიკას თქმით, იგი მხოლოდ გარეგნულად დაათვალიერეს და არ გაუსინჯავთ. ბატონმა ზურაბმა კი მითხრა, რომ დასმულ დიაგნოზში დარწმუნებულია, რენტგენს სურათზეც საეჭვო არაფერია.

ასეთ საორჭოფო სიტუაციაში, ალბათ, აუცილებელია კომპეტენტური კონსილიუმის მოწვევა. რომელიც ყოველგვარ ტენდენციურობას გამორიცხავს. მანამდე კი პატიმარი მორალურად და ფიზიკურად იტანჯება, რასაც პერიოდული სპროტესტო შიმშილობებიც ამტკიცებს.

საოცარია ნიკა კვეზერელის დრამატული ბედი. მან მოკლე სამსახურეობრივი ბიოგრაფია სახელისუფლებო პოლიტიკასთან შესაბამისობაში გაატარა თავის ძმა ბესიკთან ერთად, ისინი ე.შევარდნაძეს იცავდნენ ყველაზე ცხელ წერტილებში ცხინვალში, აფხაზეთსა და სამეგრელოში.

„სამაგიეროდ“ კი 1993 წლის 7 იანვარს სახლთან პოლიციის მუშაკმა რეზო ნადარეიშვილმა მოკლა ბესიკ კვეზერელი. მკვლელი 20 დღით დააკავეს ადმინისტრაციული წესით და გაანთავისუფლეს. საქმე კი შეწყდა (გამომძიებელი გარსევანიშვილი). 1996 წლის ივნისში კი პოლიციის მუშაკმა მოკლა ნიკას მეგობარი გია ღლონტი. მკვლელი ნიკამ დიდუბის რაიპოლიციაში წარადგინა, მაგრამ იგი გაანთავისუფლეს. საქმე აქაც შეწყვიტეს, ხოლო ნიკა კი დააპატიმრეს.

ნკვეზერელის საქმე ცხადყოფს, რომ დემოკრატიულად შერაცხულ ქვეყანაში, ჯერ კიდევ მძლავრობს ბოლშევიკთა რეპრესიული მეთოდები, ვინაიდან გამომძიებელთა უფროსი თაობა ამ მეთოდების გამოყენებაზე აღიზარდა. ამიტომაც რადიკალურად უნდა შეიცვალოს ადამიანთა დაპატიმრება დევიზით – „დაიჭირე და მტკიცება მოიძებნება“. ალბათ, უფრო მიზანშეწონილი იქნება ნკვეზერელის საქმის ცალკე წარმოებად გამოყოფა და ობიექტური გამოძიების ჩატარება.

გუგაზ მეგრელიძე

რედაქციისაგან: გუგაზ მეგრელიძე ეყრდნობოდა ბრალდებულის მამის მონათხრობს და არ არის გამორიცხული, იგი ტენდენციური იყოს, სამწუხაროდ, გამოძიებამ წერილის გამოქვეყნებამდე ამ საკითხზე საუბარს თავი აარიდა. ალბათ, მკითხველი მიიღებს განმარტებას და კვეზერელის გამბაურებულ საქმეს ნათელი მოეფინება.

აქვე გთავაზობთ შინაგან საქმეთა მინისტრის ბ-ნ კახა თარგამაძის ამასწინანდელი პრესკონფერენციიდან ერთ საინტერესო ჩანაწერს.

კახა თარგამაძე 25 ოქტომბრის ტერაქტის მცდელობის შესახებ

სტენოგრაფიული ჩანაწერი

კითხვა: ინფორმაცია გავრცელდა, რომ დაპატიმრებულია ჯგუფი, რომელიც ამზადებდა ტერაქტს ქვეყნის მმართველი პირების მიმართ. ვინ აფინანსებდა მათ და ვის წინააღმდეგ მზადდებოდა?

თარგამაძე: მე მაქსიმუმს ვიტყვი, რისი თქმაც შემიძლია, იმიტომ, რომ ზოგიერთი მომენტი, როგორც მოგახსენეთ, შეიძლება ვერ დავაკონკრეტოთ ძიების ინტერესებიდან გამომდინარე. პერიოდულად შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლ სამმართველოში შემოდიოდა ოპერატიული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გარკვეულ პირთა ჯგუფი ცდილობს შემოტანოს რესპუბლიკაში დესტაბილიზაცია და ჩატარდეს გარკვეული პირების მიმართ ტერორისტული აქტები. რა თქმა უნდა, ოპერატიული ინფორმაცია არ არის დაზუსტებული. ყოველთვის მოითხოვს გადამოწმებას და ჩვენს მიერ შეჭნილი იქნა სპეცჯგუფი, რომელიც მუშაობდა ამ ინფორმაციების რეალიზაციაზე. როდესაც ჩვენმა თანამშრომლებმა იმუშავეს ამ მიმართულებით, მათთვის ცნობილი გახდა ისიც კი, თუ სად იმყოფებოდა ამ პირების მიერ გადამალული ცეცხლსასროლი იარაღი და 25 ოქტომბერს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, გატარებულიყო რეალიზაცია და დაპატიმრება გარკვეული პირების – ეს გადაწყვეტილება მიღებული იყო იმიტომ, რომ უკვე დრო არ ითმენდა და გამოუსწორებელი შედეგი შეიძლებოდა მოგვყოლო ე.ი. თბილისობის დღეს. იქ იკრიბებოდნენ თანამდებობის უმაღლესი პირები, მათ შორის პირველი ხელმძღვანელიც, რა თქმა უნდა. და არ იყო გამორიცხული, რომ თავდასხმა მოხდ[illegible] ამ პირებზე და ერთდროულად მ[illegible] რამოდენიმე პირის ლიკვიდაცია [illegible]ელ შემთხვევაში ასეთი ინფორმაციები ჩვენ გაგვაჩნდა. ამის გამო ჩაიტარეთ ჩვენ 25 რიცხვში, ცოტა ეჩქარეთ, სიმართლე რომ გითხრათ. იმის გამო, რომ შეიძლებოდა დრო რომ გვქონოდა, მაგრამ იმ დროს გაყვანამ ჩვენ 29 რიცხვში რა შედეგამდე მიგვიყვანა, მომსწრენი ხართ. პირველ ეტაპზე დაკავებული იქნა 4 პირი, რომელთაგანაც ამოღებულ იქნა უამრავი ცეცხლსასროლი იარაღი. ე.ი. ნუცუბიძის მე-4 მიკრორაიონიდან. ერთ-ერთი ბინიდან ამოღებულ იქნა 5 ცალი პისტოლეტი, ერთი ცალი სტეჩკინი მაუერით, 12 ცალი ავტომატი, უამრავი ხელყუმბარა, ნიღბები, სნაიპერის შაშხანები ოპტიკური სამიზნეებით. ამის გარდა, ერთ-ერთი სპეცდანიშნულების ბაზიდან ამოღებული იქნა გადამალული ერთი ცალი ავტომატი, ესკავესის ტიპის კარაბინები თავის ოპტ. სამიზნით, ტოს B ტიპის შაშხანა და ყუმბარამტყორცნი. ეს იყო ის ნაწილი იმ შეიარაღებისა, რომელიც ჩვენ პირველ ორ დღეში ამოიღეთ. შემდეგ გაგრძელდა მუშაობა და ეჭვმიტანილ პირთა წრე გაფართოდა. ჩვენთვის ცნობილია. მათი პიროვნებები და რაოდენობა. ასეთი 12-ია. უშუალო შემსრულებლები ვინც უნდა ყოფილიყვნენ ამ დანაშაულისა. მაგრამ დამკვეთები სხვა მომენტია, რომელზეც გვჭირს გასული. რადგან შუამავალი მიმალულია, ის არ იყო თბილისში იმ მომენტში, როდესაც ღონისძიება დაიგეგმა და ჩატარდა.

კითხვა: იგი თანამდებობის პირია?

თარგამაძე: არცთუ ისეთი დიდი თანამდებობის პირი, მაგრამ სანდო პირი, რომელიც აწარმოებდა ამ ჯგუფსა და დამკვეთს შორის მოლაპარაკებას. მათ შორის ფინანსურ საკითხებზე ამ ჯგუფს როგორც ვიცი, მილიონი დოლარი უნდა მიეღო.

კითხვა: *გადამხდელები ვინ არიან?*

გაგრძელება მე-8 გვ.

კახა თარგამაძე 25 ოქტომბრის ტერაქტის მცდელობის შესახებ

მეშვიდე გვერდიდან

თარგამაძე: ქართველები, მათ შორის ერთი ბიზნესმენი, რომელიც დღეს საზღვარგარეთ ცხოვრობს, გარდა ამ პირებისა, მონაწილეობდა რამოდენიმე პირი, ვინც დახმარებას უწევდნენ ამ პირებს ვიდეოტექნიკით, იარაღით, ტექნიკით, მაგრამ ზოგიერთმა არც კი იცოდა, ვის უწევდნენ დახმარებას და რისთვის რა მზადდებოდა. ამ პირებს შორის ზოგიერთი მომზადებული იყო საზღვარგარეთაც კი, გერმანიაში. ისინი სნაიპერებიც იყვნენ. ჩვენდა საბედნიეროდ, მოხდა ის, რომ ეს ჯგუფი დაკავებული იყო დროზე. ამის გარდა, ერთი ეჯვმიტანილის აგარაკზე, რომელიც მიმალულია, ამოღებული იქნა უამრავი შეიარაღება, რომელიც ჩაფლული იყო მიწაში. მაკაროვები, ავტომატები, პისტოლეტები, ზიზაუერი, სტეჩკინი, რეეოლვერი, დანა, რომელიც ისვრის კიდეც, ავტომატები და მათი მაყუჟები. მაყუჟები ცალკე იყო. უცხოური იარაღის ვაზნები 50 ყუთი, სხვა ტიპის 20 ყუთი. რაც მთავარია, სამი მაგნიტური დინამიტი. დისტანციური მართვის მინის 3 დეტონატორი, ოპტიკური სამიზნეები, ნიღბები.

კითხვა: ხომ არ დაინტერესებულხართ, საიდან მოვიდა ეს იარაღი?

თარგამაძე: ამ იარაღის ნაწილი დადგენილი გვაქვს ყოფილი მხედრიონის შეიარაღებიდან.

მე მაქსიმუმი გითხარით, რისი თქმაც შემეძლო.

კითხვა: თქვენ თქვით, რომ მილიონი დოლარი უნდა გადაეცათ, ამ იარაღს ყიდვა ხომ უნდოდა?

თარგამაძე: ეს იარაღი შენახული იყო. ჩვენ გვაქვს მტკიცებები იმის შესახებ, რომ მათ ეს უნდა გაეკეთებინათ. 25-ის გარდა სხვა თარიღიც სახელდებოდა. მაგრამ ჩვენ არ გავრისკეთ იმდენად, რამდენადაც საქმე სიცოცხლეს ეხებოდა. ამ ჯგუფს ამის გარდა დაავალებული ჰქონდა ხიდებზე, გვირაბებში, მეტროში ტერაქტების, აფეთქებების განხორციელება დესტაბილიზაციის მიზნით.

კითხვა: ეს ომეგას წევრები არიან?

თარგამაძე: მათ შორის ომეგას წევრებიც არიან, არიან მხედრიონელებიც.

ჩაიწერა ჯ.ჯიჯნაძემ

მეპარდნაძე მაშინ ამბობდა სიმართლეს თუ ახლა?

5 თებერვალს, ჟურნალისტთა სახლში, გაზეთ „იბერია-სპექტრის" რედაქტორმა ირაკლი გოცირიძემ პრესკონფერენცია გამართა, რუსეთის თავდაცვის მინისტრის იგორ როდიონოვის თბილისში მომავალ ვიზიტთან დაკავშირებით.

ბატონმა ირაკლიმ განაცხადა, რომ ი.როდიონოვი სისხლის სამართლის დამნაშავეა და საზოგადოებამაც პროტესტი უნდა გამოუცხადოსო. ამასთან დაკავშირებით, მოიყვანა საქართველოს სსკ მეოთხე თავის 139 მუხლი – მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებების ხელის შეშლა საბრძოლო მასალის გამოყენებით, თუ მას მოჰყვა ადამიანთა მსხვერპლი ან მძიმე შედეგი. ეს დანაშაული კი 8-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ქონების კონფისკაციით ითვალისწინებს.

ბატონმა ირაკლიმ პრესას მოუწოდა, ხმა აღიმაღლოს როდიონოვის ოფიციალური ვიზიტის გამო.

ი.გოცირიძემ ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს ვისაც უნდა იმას შეხვდეს და ვერც ვერავინ დაუშლის, მაგრამ ეს შეხვედრა საქართველოში არ უნდა მოხდეს. ბატონ ირაკლის დაუდგენია, რომ როდიონოვს განკარგულება პოლიტბიურომ მისცა, რაც მას პასუხისმგებლობისგან არ ანთავისუფლებს. ორატორმა ასევე გაიხსენა ი.როდიონოვთან შეხვედრა, სადაც მოუყვა ცნობილი მწერლის დ.კლდიაშვილის ამბავი, როდესაც მან დემონსტრაცია არ დაარბია, მიცემული ბრძანების მიუხედავად. ამაზე გენერალს უპასუხია: „Ваш писатель великий человек, я не великий". ასევე ბატონმა ირაკლიმ გაიხსენა ბ.ელცინთან შეხვედრა თბილისში ჩამოსვლისას, სადაც როდიონოვს ნაძირალა, სისხლის სამართლის დამნაშავე უწოდა.

ბატონმა ირაკლიმ მნიშვნელოვნად მიიჩნია საქართველოს პრეზიდენტის პოზიციის დადგენაც. მისი თქმით, ე.შევარდნაძე 1989 წლის• აპრილში პოლიტბიუროს იცავდა და თითქოს თვითონაც შორს იდგა ამ ამბავთან. ახლა კი ჩვენმა პრეზიდენტმა პოზიცია შეცვალა და ოფიციალურად აცხადებს, ი.როდიონოვი არაფერ შუაშია, დარბევის ბრძანება პოლიტბიურომ გასცაო. ამას ი.გოცირიძემ ანტიზნეობრივი საქციელი უწოდა და იკითხა, შევარდნაძე მაშინ ამბობდა სიმართლეს თუ ახლაო?

გუბაზ მეგრელიძე

აქსპრეს აუდიტ სერვისი
EXPRESS AUDIT service

აუდიტორული საქმიანობის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ექსპრეს-აუდიტ სერვისი

გთავაზობთ შემდეგი სახის აუდიტორულ მომსახურეობას ზოგად აუდიტში:

1. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება და შეფასება.
2. საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები.
3. ქონების შეფასება.
4. ბუღალტრული მომსახურება.

მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5 II სართული. ტელ. 93-15-89

დიაგონალური



დიაგონალურად: 1. „ბერების საფარელი" ჟურნალი (რუსკავშ.); 3. „ქალაქ კიოლნში" გამოშვებული „ლიას საფარელი" მანქანა; 5. „თევზთან" ერთად „გარეთ" დასაყოლებელი „დარეტიანებული მოსაწევი"; 13. „ალბათ ბაზე ნაშენები" მეზობელი ქვეყანა; 17. გრძნობა, რომელიც წინასწარ „იციან"; 21. როგორი კაბა ეცვა სიმინდს? 25. „ზონაში მჯდარი მონიკა"; 27. „დარიან ამინდში მოკვეთილი" ჭიათურის სოფელი; 29. „ლომების აკლდამა"; 37. „იკას საფარელი" 2 კონტინენტი (7); 38. „ურიების და ინდოელების საფარელი" ფრინველი (7); 39. „პანების" ზღვისპირა სახელმწიფო.

შვეულად: 1. „აიდას ფეხზე ასაყენებელი" ქალაქი; 2. „ესპანელების საქართველოში ნანახი" ფხალი; 3. „გაბონებული მელიის" ქალაქი (რუსკავშ.); 4. წამალი, რომელსაც უმღერიან ბასეანსელები; 5. „გოგას მავთულის" ეკლესია თბილისში; 6. „ეალებში ჩავარდნილი" ხეიბარი; 14. „სატირალი" თოფის სასროლი ადგილი (4); 15. „ორი ცალი" მრგვალი ფიცარი (4); 16. მდინარე, რომელიც ბრიტვასთან ერთად ორკარებიან მანქანას წააგავს (4); 18. „შენი" მორებიანი ნავი (რუს.ნაწკავშ.) (4); 19. ოხუნჯობის მოფარული თათარი (4); 20. ის, ვისაც უყვარდა თავისი ეზო (4); 22. „ალმით მოხატული" სახელმწიფო (რუსკავშ.) (4); 23. „მუსიკალური ნოტის, უარყოფითი" სტილის მანქანა (ინგ.ნაწკავშ.) (4); 24. „ოროსანი" შავბნელი მოშპაგავე (4); 25. მარადიული ფეხბურთელი; 26. გვარი, რომელიც ძლივს ეღირსა ხუანს; 27. „ალიონის" ტრანსპორტი; 28. „რომში გაკეთებული" ცხენების საჭირითო; 29. „აკლის გულის მოფარული" პოეტი; 30. ქუთაისის მდინარეში ჩავარდნილი ივერიის ტელეკომპანია.

ჰორიზონტალურად: 1. „გასაკვირვებელი იონის" ყოდვა-გაყოდვა; 3. ლაშასა და ელას ერთობლივი ნაწარმოები; 5. ის „რაც თვითონ ხარშავს" (რუსკავშ.); 7. აკი „ყველის" ჭამით უნდა გეცვა (რუსკავშ.) (7.); 8. „ამ დოქს" ციხე, რომელიც გვაზუმებს (6); 9. „ანას და ნანას" საჭმელი ხილი (7); 10. „ათასი ლიტრა წყლის ტევადობის" მდინარე (რუსკავშ.) (6); 11. „ალას საფარელი ნესვის" გმირი (რუსკავშ.) (7); 12. „მელიის საფარელი" თვე (რუსკავშ.) (6); 13. მალვინას „მონა" ძაღლი (მულტფ.); 17. როგორი კავშირი ჰქონდათ ხუანს და ჰაიმეს? 21. „გასაჭრელი" სპორტული შეჯიბრება (რუს. კავშ.); 25. „ანას და მაროს სახელზე აშენებული" უდიდესი სტადიონი მსოფლიოში; 27. „დავითის" კარგი „შეხედულების" სიგარეტი (რუს.ნაწკავშ.); 29. გურიის „ხუთვარსკვლავიანი" ქალაქი; 31. „მოუსვენარი" საჭრელი დანა (7); 32. „ორთქლის" ულამაზესი დედაქალაქი (რუსკავშ.) (6); 33. „სამნი", რომლებიც სტადიონზე არ თამაშობენ (რუსკავშ.) (7); 34. „კარგ ამინდში" მებრძოლი ყაჩაღი ქალი (6); 35. ამომრჩეველი, რომელიც „ცივ იარაღზე უარს ამბობს" (7); 36. „ოსების" „ლამის კლუბში" მოპოვებული პრემია (6); 37. „არსენას" „ცხენის ფეხსაცმელების" საწყობი; 38. „ირაკლის მოკუნტული" ქალაქი ციმბირში; 39. „მალე" დასაკლავი „ერეკლეს" საჭონელი.

კოგა გაიდოშვილი

კროსვორდი



თარაზულად: 7. მამაკაცის ხმა, საშუალო, ტენორსა და ბასს შორის; 8. ისტორიული ქალაქი ესპანეთში; 9. რუკების კრებული; 10. ხის ანახეთქი, ანათალი; 11. ქალაქი გერმანიაში; 12. მეცხრამეტე-მეოცე საუკუნის ქართველი დრამატურგი ქალი; 14. რადიოდადგმულობის ნაწილი; 16. მდინარე ჩიტის ოლქში; 18. ცხარე საკაზმი საკვებისა; 19. სვანური ქალღმერთი; 20. თბილისის „დინამოს" მწვრთნელი ფეხბურთში; 22. ჭკუასუსტობის უმაღლესი ხარისხი; 24. ნებისყოფის პათოლოგიური სისუსტე; 27. ვაჟაფშაველას პოემის გმირი; 29. ფულის ერთეული კანადაში; 30. მოკლელულიანი შაშხანა; 31. ლეგენდური სიუჟეტის ლექსი; 32. ბარათი, წერილი ძველქართულად; 33. მდინარე ამერიკის შეერთებულ შტატებში; 34. ქიმიური ელემენტი.

შვეულად: 1. ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი სექტის მოძღვრება; 2. დაქალი; 3. ფორტეპიანოს ნაირსახეობა; 4. სურნელოვანი მცენარე; 5. ოსთა სახელმწიფოს აღმდგარი სახელწოდება; 6. რუსული ენის გაკეთილის ჩატარების ფორმა – კარნახით წერა; 13. ქალაქი ჩინეთში; 15. შურისძიების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 16. საღეთო წიგნების კრებული; 17. მეტყველების შეზღუდვა ან უქონლობა; 21. მიბაძვა, მიმსგავსება; 23. ცხენების სარბიელი; 25. მედიე უნგრეთში; 26. ქალაქი ფილიპინებში; 28. ხემცენარე; 29. ქანდაკების სახეობა.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444